პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

ფასი 10 კაპ.

კვირა, 14 ივნისი 1936 წ. № 136 (4595)

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური და ტფ. კომიტეტების და ცაკის ორგანო

დღეს გაზეთში:

— გამარჯვებული სოციალიზმის სტალინური კონსტიტუცია („პრავდის“ 12/VI მოწინავე)
— სტალინური კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვა
— რომენ როლანი ახალი საბჭოთა კონსტიტუციის შესახებ
— ვალ. მკალობლიშვილი — „ბობოქარი ბესარიონი“
— ა. ივინი — ჩინეთის წითელი არმია ერთიანი ფრონტისათვის ბრძოლაში (ფელეტონი)
— მძლავრი ანტი-იაპონური დემონსტრაცია ნანკინში
— ჩან კაი-შის მორჩილების პოლიტიკის წინააღმდეგ
— იაპონია გზაჯვარედინზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამარჯვებული სოციალიზმის სტალინური კონსტიტუცია

„პრავდის“ მოწინავე, 12/VI

Დღეს გამოქვეყნებულ დოკუმენტს — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუციის პროექტს, რომელიც საკონსტიტუციო კომისიამ წარმოადგინა და სსრ კავშირის ცაკის პრეზიდიუმმა მოიწონა, უდიდესი მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა აქვს. მთელი მისი სიდიადე რომ შევაფასოთ, საჭიროა წარსულს გადავხედოთ.

პირველი საბჭოთა კონსტიტუცია იშვა დიდი პროლეტარული რევოლუციისა და სამოქალაქო ომის ქარცეცხლში. მას წინ უძღოდა მშრომელი და ექსპლოატირებული ხალხის უფლებათა დეკლარაცია, დაწერილი ლენინის ხელით. გამოცხადებულ იქნა ახალი საზოგადოებრივი წყობილება. მთელმა მსოფლიომ გაიცნო მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოები, როგორც სახელმწიფო ხელისუფლების ახალი, უმაღლესი ფორმა. საბჭოების ამოცანა იყო გაეტეხნათ კაპიტალისტური კლასების წინააღმდეგობა, შესდგომოდნენ სოციალისტური მეურნეობის მშენებლობას.

პირველი საბჭოთა კონსტიტუცია მუშავდებოდა ამხანაგ სტალინის აქტიური მონაწილეობით. მისი მოხსენების მიხედვით საბჭოების სრულიად-რუსეთის III ყრილობამ მიიღო რუსეთის სფს რესპუბლიკის კონსტიტუციის ძირითადი დებულებანი. დიდი ბელადების — ლენინისა და სტალინის შეერთებული მუშაობიდან მივიღეთ კანონები, რომლებიც უმაგალითოა კაცობრიობის მთელ წარსულ ისტორიაში, მივიღეთ განთავისუფლებული პროლეტარიატის კანონები.

ამავე დროს ომისაგან შეჭრილ-გამოჭრილი კაპიტალისტური ევროპა აჯანყებული პროლეტარიატის შეტევის გამო, ნგრევითა და შიმშილით განაწამები ხალხის მასების ზეგავლენით, ამ მასების მოსატყუებლად ტანზე იზომავდა ბურჟუაზიული დემოკრატიის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით გამოჭრილ ახალ კონსტიტუციებს.

გერმანია, ავსტრია, ჩეხოსლოვაკია, პოლონეთი, ფინეთი და სხვა ახლადგამომცხვარი ბურჟუაზიული დემოკრატიები კეკლუცობდნენ ფერად-ფერადი კონსტიტუციური სამოსით.

ქედმაღლურად და აღშფოთებით უყურებდნენ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული პოლიტიკოსები საბჭოთა კონსტიტუციას. ეს კონსტიტუცია არ მალავდა თავის კლასობრივ სახეს. პირიქით, საბჭოთა ხელისუფლება აშკარად განამტკიცებდა თავის-თავს, როგორც პროლეტარიატის დიქტატურა. საბჭოთა კონსტიტუცია მაშინ „ყველას“ არ ჰპირდებოდა თავისუფლებას, თანასწორობას, პოლიტიკურ უფლებებს. იგი ამ უფლებებზე უარს ეუბნებოდა მშრომელთა ექსპლოატატორებს. და თუმცა ექსპლოატატორები მოსახლეობის შედარებით სრულიად უმნიშვნელო ნაწილს შეადგენდნენ, ბურჟუაზიული პოლიტიკოსები არ სცნობდნენ საბჭოთა კონსტიტუციის უფლებას რომ მას თავისთავისათვის დემოკრატია ეწოდებინა.

ნამდვილად, სწორედ პროლეტარიატის დიქტატურა და მხოლოდ იგი წარმოადგენს მშრომელთა ყველაზე ფართო, ყველაზე სრულ დემოკრატიას. ნამდვილად, სიტყვით სრულიად ხალხურს ამოფარებული ბურჟუაზიული დემოკრატია არის მხოლოდ კაპიტალის დიქტატურა. არ არის და არც შეიძლება იყოს ჭეშმარიტი დემოკრატია, ესე იგი ხალხის ბატონობა კაპიტალიზმის დროს, ესე იგი მდიდრების ბატონობის დროს.

ეს უკვე დიდიხანია თეორიული დავის საგანს არ შეადგენს. ისტორია ულმობელი ფაქტებით აჯამებს შედეგებს. რა დარჩა კაპიტალისტური ევროპის ახალი დემოკრატიული რესპუბლიკებისაგან? რა იქნა გერმანიის რეიხსტაგი? რა იქნა იტალიის საყოველთაო საარჩევნო უფლება? რა იქნა თანასწორობა და თავისუფლება პოლონეთში? ფაშიზმის შავბნელი, ბარბაროსული თვითნებობა მძვინვარებს დადუმებულ, დაბეჩავებულ, გაღატაკებულ ქალაქებსა და სოფლებში, განაწამები, დამშეული, უუფლებო მასების მიმართ. ფინანსური კაპიტალი განუკითხავად მართავს მუშათა კლასის ჯალათების ხელით.

ახალი ომი სასიკვდილო საფრთხედ დაწოლია მსოფლიოს, როგორც ახალი საშინელი დანაშაული ბურჟუაზიისა, რომელიც ყელამდე ჩაფლულია თავისი გაკოტრებული ეკონომიკის ჭაობში. საბჭოთა ქვეყანაში ვითარდება სოციალისტური მეურნეობა, იზრდება მთელი მოსახლეობის უზრუნველყოფა, არ არის უმუშევრობა, არ არიან ომის გამჩაღებლები და პროვოკატორები.

ამ ისტორიულ ვითარებაში იბადება ახალი კონსტიტუცია — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ძირითადი კანონი. იგი მოწმობს საბჭოების, როგორც სახელმწიფოს უმაღლესი ფორმის, ძალასა და სიცოცხლის უნარიანობას.

სტალინი იდგა 1918 წლის საბჭოთა კონსტიტუციის აკვანთან. სტალინი გამოვიდა მოხსენებით საბჭოების I სრულიად საკავშირო ყრილობაზე საბჭოთა რესპუბლიკების გაერთიანების შესახებ და მეთაურობდა სსრ კავშირის ცაკის კომისიას, რომელმაც შეიმუშავა 1924 წლის საკავშირო კონსტიტუცია. ახლა, ჩვენი ისტორიული განვითარების ახალ ეტაპზე, სტალინი ახალი კონსტიტუციის, გამარჯვებული სოციალიზმის დიადი ქარტიის ინიციატორი და შემოქმედია.

კონსტიტუცია ალბეჭდავს იმას, რაც არის, იმას, რაც მოიპოვეს მშრომელებმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, იმას, რაც განმტკიცებულია კოლექტიური თავდადებული შრომით.

ის, რაც არის, — სოციალიზმის გამარჯვება და ტრიუმფია. ის, რაც არის — სოციალისტური საკუთრების სრული და განუსაზღვრელი ბატონობაა, ყველა კაპიტალისტური კლასის ლიკვიდაციაა, სიღატაკის, შიმშილის, უმუშევრობის ლიკვიდაციაა. ის, რაც არის, — სახალხო მეურნეობის სოციალისტური ორგანიზაციაა, რომელიც საბჭოთა ქვეყნის თვითეულ მოქალაქისათვის უზრუნველჰყოფს პატიოსან შრომას.

შრომის უფლება ამიერიდან ჩაწერილია საბჭოთა სახელმწიფოს ძირითად კანონში. შრომის უფლებისათვის იბრძოდა პროლეტარიატი ისტორიულ ასპარეზზე გამოსვლის პირველი დღეებიდანვე. შრომის უფლების მოთხოვნისათვის ბრძოლაში დაღვრილია პროლეტარიატის ზღვა სისხლი. მაგრამ შრომის უფლება ცალიერი უტოპიური ფორმულა იყო კაპიტალიზმის დროს. სოციალიზმის გამარჯვება საბჭოთა ქვეყანაში შრომის უფლებას აქცევს ძირითად კანონად, რომელსაც უზრუნველჰყოფს მეურნეობის სოციალისტური ორგანიზაცია. და, როგორც შრომის უფლების აუცილებელი დამატება, — ეს არის დასვენების უფლება. ამ ახალ კანონებში, როგორსაც არ იცნობს და არც შეიძლება იცნობდეს კაპიტალისტური მსოფლიოს არც ერთი კონსტიტუცია, — ახალი დიადი ეპოქაა, რომელიც მოასწავებს ნამდვილ ადამიანურ მაღალკულტურულ ცხოვრებას ყველა მშრომელისათვის.

შრომის უფლება განუყოფელია მშრომელთა მოვალეობისაგან. „ვინც არ მუშაობს, — ის არა ჭამს“ — ეს კანონი ურყევია საბჭოთა კონსტიტუციაში. ამ კანონის გულისათვის შემოგვქონდა უფლებების შეზღუდვანი არამშრომელებისათვის, რომლებსაც, მთელი თავისი მცირერიცხოვნობის მიუხედავად, გააჩნდათ საგრძნობი საშუალებანი მუშათა კლასთან და მის მოკავშირესთან — გლეხობასთან საბრძოლველად. „ვინ-ვის?“ ასე იდგა სინამდვილეში საკითხი. და პირველი საბჭოთა კონსტიტუცია აიარაღებდა პროლეტარიატსა და მშრომელებს კლასობრივი ბრძოლისათვის.

კლასობრივი ბრძოლა გრძელდება. ახალი კანონები მას არ ასუსტებენ. ისინი მთელი სისასტიკით სჯიან ხალხის მტრებს, ყველას, ვინც კი გამოდის საზოგადოებრივი სოციალისტური საკუთრების წინააღმდეგ, სამშობლოსი და მისი თავდაცვის საშუალებათა წინააღმდეგ, მაგრამ კაპიტალისტური კლასები ლიკვიდირებულია. საკოლმეურნეო წყობილებამ საბოლოოდ და სამუდამოდ გაიმარჯვა. საკითხი „ვინ-ვის?“ გადაწყვეტილია.

საჭირო არ არის ძველი შემზღუდველი კანონები. საბჭოთა ქვეყანა მთლიანად მშრომელთა ქვეყნად იქცა. მუშები, გლეხები და ინტელიგენცია ახლა საბჭოთა სახელმწიფოს მთლიანად თანასწორუფლებიანი მოქალაქეები არიან. საბჭოთა დემოკრატია საერთო-სახალხო დემოკრატიაა. და თუ აქამდე ჩვენს საბჭოებს ერქვათ მუშათა გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოები, კონსტიტუციის პროექტით მათ უწოდებენ მშრომელთა დეპუტატების საბჭოებს. ამით ხაზგასმულია საბჭოთა ინტელიგენციის თანასწორუფლებიანობა.

ახალი კონსტიტუციით შემოღებულია საყოველთაო და თანასწორი საარჩევნო უფლება. იგი არჩევნებს ხდის ხალხის პოლიტიკური აღზრდის მძლავრ საშუალებად, ყველა მშრომელთა მიერ ხელისუფლების არჩევითი ორგანოების ნამდვილი კონტროლის საშუალებად. იგი აწესებს პირდაპირსა და ფარულ არჩევნებს, — როგორც, ამხანაგი სტალინის სიტყვით რომ ვთქვათ, შოლტს ყველა იმ საბჭოთა მუშაკისათვის, ვინც ბიუროკრატიზმისადმი მიდრეკილებას იჩენს.

ხალხის თვითმპყრობელობა — ასე სთარგმნიდა ლენინი სიტყვას დემოკრატიას. ხალხის ამ თვითმპყრობელობას, მის უზენაეს ხელისუფლებას, სრულიად შეუზღუდავ სუვერენიტეტს გამოხატავს სსრ კავშირის უზენაესი საბჭო, საბჭოთა პარლამენტი, პირველი ნამდვილად საერთო-სახალხო პარლამენტი მსოფლიოში.

კონსტიტუციის პროექტი აყალიბებს და აზუსტებს პროლეტარიატის დიქტატურის, საბჭოთა დემოკრატიის ძირითად კანონებს: ხალხთა ურყევ მეგობრობას, მათ დამოუკიდებლობასა და მათ ძმურ კავშირს, სრულ ნაციონალურ თანასწორუფლებიანობას, რომლის დროსაც შეუწყნარებელი დანაშაულია ადამიანის ყოველივე დევნა იმისათვის, რომ ის ამათუიმ ეროვნებას ეკუთვნის, რომ მას ამათუიმ რასის ნიშნები აქვს; განათლების უზრუნველყოფილ უფლებას; ქალის თანასწორუფლებიან და მაღალ მდგომარეობას; ყველა მოქალაქისათვის უზრუნველყოფილ მართლმსაჯულებას, რასაც ანხორციელებენ არჩეული და თავის მოქმედებაში დამოუკიდებელი მოსამართლენი. კონსტიტუციით სსრ კავშირის მოქალაქეებისათვის უზრუნველყოფილია სიტყვის თავისუფლება, ბეჭდვითი სიტყვის, კრებებისა და მიტინგების, მსვლელობათა და დემონსტრაციების თავისუფლება. კონსტიტუციით სსრ კავშირის მოქალაქეებისათვის უზრუნველყოფილია პიროვნებისა და ბინის ხელშეუხებლობა.

სტალინური კონსტიტუცია თვითეულ მშრომელს აძლევს უფლებასა და საფუძველს სიამაყით სთქვას: მე საბჭოთა მოქალაქე ვარ, მე დიადი, თავისუფალი, დამოუკიდებელი სამშობლოს შვილი ვარ, მე მისი ღვიძლი შვილი ვარ, იმიტომ რომ საბჭოთა სამშობლომ არ იცის გერები, იგი ღიაა ყველასთვის, ვინც პატიოსნად შრომობს საზოგადოებისათვის, ვინც იბრძვის მშრომელთა ბედნიერებისათვის.

საბჭოთა კონსტიტუცია უდიდესი ისტორიული ღირსებით არის გამსჭვალული. იგი საბჭოთა მოქალაქის ღირსებისა და სახელის გრძნობათა აღმზრდელია. იგი საბჭოთა კავშირის დროშასა და ღერბს ხდის სოციალიზმის წმინდა ნიშნებად, ხოლო სამშობლოს დაცვას — თვითეული მოქალაქის წმინდა მოვალეობად.

კონსტიტუციის პროექტი ქვეყნდება საყოველთაო სახალხო განხილვისათვის. ეს — საბჭოთა დემოკრატიის ძალისა და ძლიერების, მისი სიცოცხლისუნარიანობის, ხალხთან მისი ღრმა კავშირის ახალი გამოხატულებაა. კონსტიტუცია გამოიწვევს ენთუზიაზმის ახალ ტალღას, გაზრდის უფართოესი მასების პოლიტიკურ აქტივობას, გაამდიდრებს საბჭოთა აზრს სოციალიზმის მრავალათეულ მილიონ მშენებელთა კოლექტიური შემოქმედებით.

საბჭოთა კონსტიტუცია პოლიტიკური აღზრდის დაუშრეტელი წყაროა. მასში გამოხატულია პროლეტარული რევოლუციისა და სოციალისტური მშენებლობის მიღწევანი, მასშია კომუნისტური პარტიისა და მისი ხელმძღვანელობის დიადი სახე. მასშია მისი შემოქმედის ამხანაგი სტალინის გენია.

სტალინური კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვა

საამური ცხოვრების კონსტიტუცია

მილიონები დაეწაფნენ სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტის კითხვას ქარხნებში, ფაბრიკებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ჩვენი სამშობლოს ბედნიერი მოსახლეობა გულმოდგინედ კითხულობს და იხილავს კონსტიტუციის პროექტს, აღფრთოვანებით ეგებება სოციალისტური სამშობლოს ზრდისა და განმტკიცების ამ ახალ, მსოფლიო ისტორიულ მნიშვნელობის დოკუმენტს.

ტფილისის 26 კომუნარის სახელობის მანქანათმშენებლობის ქარხნის მუშებმა 13 ივნისს მასობრივად დაიწყეს კონსტიტუციის კითხვა, კითხულობენ და გზადაგზა შემოაქვთ პრაქტიკული წინადადებანი.

აი, რას ამბობს ამ ქარხნის საამაყო შვილი, ორდენოსანი მუშა ამხ. ზაკამოლდინი:

— კონსტიტუციის ეს პროექტი გამოხატავს საბჭოთა კავშირის უდიდეს ზრდასა და განმტკიცებას, ამდენადვე ის წარმოადგენს გამანადგურებელ ლახვარს ჩვენი მტრებისათვის, კაპიტალისტებისათვის. ჩვენ ვიწონებთ კონსტიტუციის პროექტს, რადგან ის არის საამური და ბედნიერი ცხოვრების კონსტიტუცია; ჩვენ ვიწონებთ მას იმიტომ, რომ იგი ჩვენი შემდგომი ზრდისა და განმტკიცების ბერკეტს წარმოადგენს. მაგრამ არ კმარა მარტო მოწონება, საჭიროა საქმით ვუპასუხოთ და ახალი ვალდებულებანი ვიკისროთ.

საფეიქრო საამქროს დაზგის მუშა სტახანოველი ამხ. რიბაკოვი ამბობს:

— ამხანაგებო! წინადადება შემომაქვს ჩვენი საამქრო გავხადოთ მთლიანად სტახანოვურ საამქროდ: ჩვენ ყოველგვარი პირობა გვაჩნია იმისათვის, რომ ეს ვალდებულება შევასრულოთ.

— მართალია! გაისმის ხმები და წინადადება ერთხმად მიიღეს.

— მე პირადად ვკისრულობ, — განაცხადა ამხ. რიბაკოვმა — ისე გარდავქმნა ჩვენი მუშაობა, რომ ამ თვის დამლევამდე წუნი სავსებით მოვსპო.

მეტად საინტერესო და ძვირფასი პრაქტიკული წინადადება შემოიტანა ექსპერიმენტალური საამქროს ოსტატმა ამხ. კლანმა.

— ჩვენს საამქროს შეუძლია სავსებით აითვისოს საზღვარგარეთული „ატვუდის“ სისტემის მანქანა. ვიკისროთ ვალდებულება, რომ პირველ ივლისამდე ჩვენ ამ მანქანას დავამზადებთ.

ამხ. კლანის წინადადება მუშებმა მოიწონეს, მიიღეს და დაირაზმნენ მის განსახორციელებლად.

კიდევ ახალი წინადადება:

— ნახევარი წლის გეგმას 105 პროცენტით შევასრულებთ — განაცხადა ამხ. გრიგორიევმა და ამ წინადადების რეალობა მუშებმა ერთსულოვანი თანხმობით დაადასტურეს.

კონსტიტუციის პროექტის წაკითხვამ ახალი ენთუზიაზმი შექმნა. ფართო მასები უდიდეს ინტერესს იჩენენ კონსტიტუციის პროექტის განხილვისადმი. საწარმოებში გამოჰყვეს მომზადებული ამხანაგები, რომელნიც გაუგებარ საკითხებზე ამომწურავ ახსნა-განმარტებას იძლევიან.

მაუდის ფაბრიკაში. ამხ. ქ. შვერდინინმა და ს. კუპატაძემ აგიტატორებს უკვე გაუმართეს კონსულტაცია. ამან დიდი დახმარება გაუწია მათ. პარტკაბინეტები ცხოველი ენერგიით შეუდგნენ მუშაობას. „მკერავი“-ს № 1 ფაბრიკის პარტკაბინეტი აწყობს ლიტერატურის გამოფენას კონსტიტუციის საკითხებზე, საუბრებს და სხვ. ამგვარადვე მუშაობენ პარტკაბინეტები სხვა საწარმოებშიც.

◇ ◇ ◇

იხილავენ ახალი კონსტიტუციის პროექტს

გუშინ, ტფილისის წარმოება-დაწესებულებებში მშრომელები შეუდგნენ ახალი კონსტიტუციის პროექტის კოლექტიურად წაკითხვას. პროექტის შინაარსმა საყოველთაო სიხარული და კმაყოფილება გამოიწვია. მუშები ერთიმეორეს ულოცავდნენ სოციალისტური სახელმწიფოს კონსტიტუციის კანონპროექტის გამოქვეყნებას.

კონსტიტუციის პროექტის გამოქვეყნებას ტფილისის მთელ რიგ ქარხნებში მუშებმა უპასუხეს წინადადებით, რომ ყველა საამქროები გადააქციონ სტახანოვურ საამქროებად, კიდევ უფრო გაადიდონ შრომის ნაყოფიერება და ყოველმხრივ შეუწყონ ხელი სოციალისტური სამშობლოს სახალხო დოვლათის ზრდასა და გადიდებას.

კონსტიტუციის პროექტის ცალკეული მუხლების წაკითხვა მუშებში ხშირად ტაშს იწვევდა.

კონსტიტუციის პროექტის წაკითხვისას ზოგიერთი ადგილის განსამარტავად მუშებს შემოჰქონდათ კითხვები. ზოგ კითხვაზე იქვე ღებულობდნენ ახსნა-განმარტებას, ხოლო უფრო ზოგადი ხასიათის ზოგ კითხვაზე ახსნა-განმარტების მიცემა გადაიდო პროექტის წაკითხვის დამთავრებისა და მუშათა საერთო კრებებზე საყოველთაო მსჯელობის გამართვამდე.

სტალინის სახ. ქარხანა

საამქროებში მასობრივად დაიწყეს კონსტიტუციის პროექტის გაცნობა-განხილვა. პარტიულმა კომიტეტმა წინასწარ გამოჰყო 47 აგიტატორი, რომლებმაც მუშათა ჯგუფებში და საამქროებში ჩაატარეს ხმამაღლა კითხვა. ქარხნის სტახანოველები და ინჟინერ-ტექნიკოსები კონსტიტუციის თვითეულ მუხლს დიდი აღფრთოვანებით კითხულობდნენ და არჩევდნენ.

სამჭედლო საამქროში სიტყვით გამოვიდნენ ამხ. სუხიტაშვილი, თედელიძე, გამხუაშვილი და თათარაშვილი. ამხ. თათარაშვილმა განაცხადა:

— კონსტიტუციის მე-10 მუხლი, სადაც ლაპარაკია მოქალაქეთა ძირითად უფლებათა და მოვალეობათა შესახებ, სრულ შესაძლებლობას გვაძლევს უფრო კარგად ვიმუშაოთ და ავამაღლოთ შრომის ნაყოფიერება. ახალი კონსტიტუცია — ეს ბედნიერ ხალხთა სახელმწიფოს ძირითადი კანონია.

შაბაშის შემდეგ, 4 საათზე, პარტიულმა კომიტეტმა მოიწვია საამქროს აგიტატორთა და პარტორგანიზატორთა სემინარი, რომელზედაც პარტკაბინეტის გამგის ამხ. მიხ. ტატანაშვილის ხელმძღვანელობით დეტალურად გაეცნენ კონსტიტუციის თვითეულ მუხლს.

კონსტიტუციის შესწავლა-განხილვა გრძელდება.

საორთქლმავლო დეპო

ტფილისის საორთქლმავლო დეპოს მემანქანეთა უმრავლესობამ 12 ივნისს გულდასმით წაიკითხა გაზეთებში კონსტიტუციის პროექტი და გუშინ საამქროებში მომზადებულნი მოვიდნენ. დეპოს ყველა საამქროში და ბრიგადაში მოეწყო ჯგუფური კითხვა. საიარაღო საამქროში პროექტი წაიკითხა ივანე ხახვიაშვილმა, საქვაბეში — სოლომონ დოლიძემ, გამჩარხავში — ვიქ. ზალდასტანიშვილმა და საკომპლექსოში — თამარ გაგნიძემ.

დღის 4 საათზე შესდგა საერთო კრება, რომელზედაც ა.-კ. რკინიგზის პოლიტგანყოფილების წარმომადგენელმა ამხ. კაიშაურმა დამსწრეებს ფართოდ გააცნო კონსტიტუციის თვითეული მუხლი. ამის შემდეგ კონსტიტუციას უფრო ღრმად გაეცნობიან პარტიულ კრებებზე და სადეპუტატო ჯგუფებში.

ფოლადის და თუჯის ჩამომსხმელი ქარხანა

ქარხნის მუშები, ინჟინერ-ტექნიკოსები და მოსამსახურენი უსაზღვრო სიხარულითა და ენთუზიაზმით შეხვდნენ ახალი კონსტიტუციის პროექტს.

— მხოლოდ ჩვენში, დედამიწის ერთ მეექვსედზე, სადაც მოსპობილია ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია, სადაც 170 მილიონიანი მშრომელთა არმია გრანიტის საფუძველზე აშენებს საამურ და ბედნიერ ცხოვრებას, — მხოლოდ აქ არის შესაძლებელი ასეთი კონსტიტუციის განხორციელება. საბჭოთა კავშირი ანხორციელებს ნამდვილ, ჭეშმარიტ დემოკრატიას, წარმოუდგენელსა და შეუძლებელს კაპიტალისტურ წყობილებაში.

ასე, ამ აზრით შეხვდნენ ქარხნის მუშაკები ახალი კონსტიტუციის პროექტს და თავისი უდიდესი სიხარული ახალი საწარმოო ენთუზიაზმის აზვირთებით გამოხატეს.

ქარხნის კოლექტივმა იკისრა ახალი ვალდებულებანი კიდევ უფრო მტკიცედ იბრძოლოს დავალებათა შესრულებისათვის, არ დაკმაყოფილდეს არსებული მიღწევებით და გასწიოს წინ კიდევ უკეთესი შედეგებისაკენ სხმულის ხარისხის გაუმჯობესებით, წუნის სავსებით აღმოფხვრით.

ახალი კონსტიტუციის პროექტი მთელი ქვეყნის ყურადღების ცენტრში

მოსკოვი, 13 ივნისი. ახალი საბჭოთა კონსტიტუცია — უდიდესი დოკუმენტია, რომლითაც გადიშლება კაცობრიობის საერთაშორისო ისტორიის ახალი ფურცელი — ასეთია ერთსულოვანი აზრი ცალკე პირებისა და მრავალრიცხოვანი კოლექტივებისა, რომლებიც ფაბრიკებსა, ქარხნებსა და დაწესებულებებში იხილავენ კონსტიტუციის გამოქვეყნებულ პროექტს, რომლის შემომქმედიც არის სოციალიზმის გამარჯვებათა ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი, ხალხთა დიდი ბელადი ამხანაგი სტალინი.

წითელ დედაქალაქში უდიდესი აღფრთოვანებაა. კონსტიტუციის პროექტის კითხვისა საუბრებისა და მიტინგების დროს, რომლებიც საწარმოებში იმართება, სტალინური კონსტიტუციის თვითეულ სიტყვას უდიდესი ყურადღებით ისმენენ. ყველა გამოსვლაში სჩანს სიამაყე საკუთარი სამშობლოთი და სიხარული სოციალიზმის გრანდიოზულ გამარჯვებათა გამო.

ფაბრიკა „ბოლშევიკის“ კოლექტივი ერთხმად მიღებულ რეზოლუციაში აცხადებს:

— ჩვენ სიტყვას ვაძლევთ ჩვენს მეგობარს, მასწავლებელსა და ბელადს ამხანაგ სტალინს, პარტიას და მთავრობას, რომ საბჭოების დიადი რესპუბლიკის ღირსეული მოქალაქენი, მისი მედგარი დამცველები ვიქნებით, კომუნისტური პარტიის დროშის ქვეშ ვიბრძოლებთ კომუნიზმის აშენებისათვის.

„პარიჟსკაია კომუნას“ მუშები უდიდეს ისტორიულ მნიშვნელობას ანიჭებენ ახალ საბჭოთა კონსტიტუციას, მხურვალედ ესალმებიან კონსტიტუციის პროექტის სახალხო მსჯელობისათვის გადაცემას და აყენებენ წინადადებას — მოეწყოს წრეები პროექტის ღრმად შესწავლისათვის.

— ჩვენ განვიხილავთ თვითეულ თავს, თვითეულ მუხლს, ჩვენ ვუამბობთ კონსტიტუციის მნიშვნელობას ჩვენი ოჯახის წევრებს. ვკისრულობთ ვალდებულებას განვუმარტოთ ამ კონსტიტუციის სიდიადე და მნიშვნელობა ყველა მშრომელს, რომლებსაც შევხვდებით და რომლებთანაც საუბარი გვექნება, — აცხადებს „პარიჟსკაია კომუნას“ კოლექტივი.

თავის გამოსვლებში წითელი მოსკოვის მუშები საზეიმო დაპირებას აძლევენ პარტიას და მთავრობას, რომ კიდევ უფრო განამტკიცებენ შრომის დიადი რესპუბლიკის სიძლიერეს, გააცამტვერებენ მისი მტრების ყველა ზრახვას. ეს კარგად გამოსთქვა თავის რეზოლუციაში კიროვის სახელობის „დინამოს“ ქარხანამ.

— ახალი კონსტიტუცია, — აცხადებენ დინამოელები, — გამოხატავს იმ მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებებს, რომლებსაც მივაღწიეთ პარტიისა და დიდი სტალინის ხელმძღვანელობით. ჩვენ დაუზოგავად ვიბრძოლებთ სოციალისტური სამშობლოს მტრების წინააღმდეგ. ჩვენ პატიოსანი სტახანოვური მუშაობით, კიდევ უფრო უკეთესი ელექტრომავლების გამოშვებით განვამტკიცებთ და გავამრავლებთ ქვეყნის სოციალისტურ სიმდიდრეს.

ახალი კონსტიტუციის ინტერნაციონალური მნიშვნელობა კარგად გამოსთქვა თავის სიტყვაში მიტიშჩის სავაგონო ქარხნის ოსტატმა ამხ. ვახოვმა.

— შეუძლებელია აუღელვებლად წაიკითხოთ სტალინური კონსტიტუციის პროექტი, — განაცხადა მან. მასში ჩაწერილია მშრომელთა მრავალი თაობის ბრძოლის შედეგები. საბჭოთა კავშირის ახალი კონსტიტუცია გზის მაჩვენებელი ვარსკვლავი იქნება მთელი მსოფლიოს მშრომელთათვის.

ასევე აფასებენ ახალი კონსტიტუციის მნიშვნელობას მუშები და ყველა მშრომელნი ყველგან, ყველა ქალაქში და ცენტრში, სადაც მშრომელებმა უკვე მოასწრეს გამოხმაურებოდნენ საბჭოთა სახელმწიფოს ახალი ძირითადი კანონის პროექტს. (ადს).

რომენ როლანი ახალი საბჭოთა კონსტიტუციის შესახებ

მოსკოვი, 13 ივნისი. 12 ივნისს „რადიოს უკანასკნელ ცნობათა“ რედაქცია ტელეფონით დაუკავშირდა რომენ როლანის ვილას ვილნევში (შვეიცარია). რომენ როლანის ცოლმა — მარია პავლოვნამ განაცხადა, რომ 11 ივნისს მან თავიანთ სახლში ამასწინათ დადგმული რადიომიმღები აპარატი დააყენა კომინტერნის სახელობის სადგურის ტალღაზე სწორედ იმ დროს, როდესაც მოსკოვიდან კითხულობდნენ ახალი კონსტიტუციის პროექტს.

რომენ როლანმა შემდეგი განაცხადა:

— შარშან ალექსი მაქსიმეს-ძე გორკისთან მე უკვე გავიგე მომავალი კონსტიტუციის ამბავი. მე მოუთმენლად მოველოდი მას. უკვე ვიცოდი, თუ რა ფართო დემოკრატიული სულით იქნებოდა ის შედგენილი. ეს კონსტიტუცია დაანახვებს მთელს მსოფლიოს, რომ საბჭოთა კავშირმა საბოლოოდ დაამარცხა ძველი წესწყობილებისაგან დარჩენილი დახავსებული ძალები. ეს არის ნამდვილი დემოკრატიის დამყარება, რომელიც მხოლოდ უკლასო საზოგადოებაში შეიძლება არსებობდეს. ეს არის ცხოვრებაში გატარება თავისუფლების, თანასწორობისა და ძმობის დიადი ლოზუნგებისა, რომლებიც დღემდე მხოლოდ ოცნებას წარმოადგენდა კაცობრიობისათვის.

როდესაც მივიღებ გაზეთებს პროექტის ტექსტით, მე მას უდიდესი ინტერესით შევისწავლი და მაშინ უფრო დეტალურად გამოვსთქვამ ჩემს აზრს. (ადს).

◇ ◇

ამხ. ლ. ბერიას სტატია „პრავდაში“

„პრავდის“ 12 ივნისის ნომერში მოთავსებულია ამხ. ლ. ბერიას სტატია სათაურით „სსრ კავშირის ახალი კონსტიტუცია და ამიერ-კავკასიის ფედერაცია“.

ეს სტატია მოთავსებული იქნება „კომუნისტის“ ერთ-ერთ უახლოეს ნომერში.

◇ ◇ ◇

გასწორება

ჩვენი გაზეთის 12 ივნისის ნომერში დაბეჭდილი სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის ქვემოთ მოყვანილი ადგილები უნდა იკითხებოდეს შემდეგნაირად:

მუხლი 49 პუნქტი ვ):

„ვ) სსრ კავშირის უზენაეს საბჭოს სესიათა შორის პერიოდში ათავისუფლებს თანამდებობისაგან და ნიშნავს სსრ კავშირის ცალკეულ სახალხო კომისრებს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის წარდგენით და შემდგომ დასამტკიცებლად შეაქვს სსრ კავშირის უზენაეს საბჭოში“.

მუხლი 50, მეორე აბზაცი:

„სამანდატო კომისიის წარდგენით პალატები გადაწყვეტენ ან ცნონ ცალკეულ დეპუტატთა რწმუნება, ან გააუქმონ მათი არჩევა“.

მუხლი 68, პუნქტი ა).

„ა) აერთიანებს და წარმართავს სსრ კავშირის საერთო - საკავშირო და საკავშირო - რესპუბლიკური სახალხო კომისარიატებისა და თავის ქვემდებარე სხვა სამეურნეო და კულტურულ დაწესებულებათა მუშაობას“.

მუხლი 99:

„მშრომელთა დეპუტატების სამხარეო, საოლქო, ავტონომიური ოლქების, საოკრუგო, რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ და განმკარგულებელ ორგანოებს წარმოადგენენ ამ საბჭოების მიერ არჩეული აღმასრულებელი კომიტეტები თავმჯდომარის, მისი მოადგილეებისა და წევრების შემადგენლობით“.

მუხლი 100:

„მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოების აღმასრულებელ და განმკარგულებელ ორგანოს მცირედ დასახლებულ ადგილებში, მოკავშირე რესპუბლიკათა კონსტიტუციების შესაბამისად, წარმოადგენენ ამ საბჭოების მიერ არჩეული თავმჯდომარე და მისი მოადგილენი“.

მუხლი 110:

„სამართლის წარმოება ხდება მოკავშირე ან ავტონომიური რესპუბლიკის ან ავტონომიური ოლქის ენაზე; იმ პირებისათვის, რომლებმაც ეს ენა არ იციან, უზრუნველყოფილია სრული გაცნობა საქმის მასალებთან თარჯიმანის საშუალებით, აგრეთვე უზრუნველყოფილია უფლება გამოვიდნენ სასამართლოში დედაენაზე“.

დღეს, 14 ივნისს, საღამოს სრულ 7 საათზე, სახელმწიფო ოპერის თეატრის შენობაში მოწვეულია **ტფილისის პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრება.**

დღის წესრიგშია:

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის შედეგები.

საკ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტის, საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ტფილისის კომიტეტის წევრები სხდომაზე შედიან თავიანთი მანდატებით. დანარჩენი ამხანაგები სპეციალური მოსაწვევი ბარათებით, რომლებსაც გასცემენ საქ. კ. პ. (ბ) ტფილისის ორგანიზაციის სათანადო რაიკომები.

საქ. კ. პ. (ბ) ტფილისის კომიტეტი.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

რეზოლუცია

საკ. კ. პ. (ბ) მოსკოვის ორგანიზაციის პარტიული აქტივის კრებისა ამხ. ხრუშჩოვის მოხსენების გამო

საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის ივნისის პლენუმის შედეგების შესახებ

მოისმინა და განიხილა რა ამხ. ხრუშჩოვის მოხსენება საკ. კპ. (ბ) ც. კ-ის ივნისის პლენუმის შედეგების შესახებ, საკ. კპ. (ბ) მოსკოვის ორგანიზაციის პარტიული აქტივის კრება მთლიანად და სავსებით იწონებს ცენტრალური კომიტეტის პლენუმის ყველა გადაწყვეტილებას.

ც. კ-ის ივნისის პლენუმი, რომელმაც ამხანაგი სტალინის მოხსენების მოიწონა სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტი—სტალინის ეპოქის ეს შესანიშნავი და შეუდარებელი დოკუმენტი—ერთერთ უმნიშვნელოვანეს ფურცლად შევა სოციალისტური რევოლუციის ისტორიაში, ჩვენი პარტიისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა ცხოვრების ისტორიაში. ახალი კონსტიტუციის პროექტი, რომლის ინიციატორი, შთამგონებელი და შემოქმედი არის კაცობრიობის უდიდესი გენიოსი ამხანაგი სტალინი—წარმოადგენს საერთაშორისო მნიშვნელობის ისტორიულ დოკუმენტს. ის არის მუშათა და გლეხთა სოციალისტური სახელმწიფოს გიგანტურ გამარჯვებათა კონცენტრირებული განზოგადება.

სსრ კავშირის კონსტიტუცია, მიღებული 12 წლის წინათ, ასახავდა მაშინდელ ეკონომიკასა და ქვეყნის შიგნით კლასობრივ ძალთა თანაფარდობას, როდესაც სახელმწიფო მრეწველობას ჯერ არ მიეღწია ომის წინანდელი დონისათვის, ხოლო სოფლის მეურნეობა წარმოადგენდა დაქსაქსული წვრილი და უწვრილესი გლეხური ინდივიდუალური მეურნეობების ოკეანეს; როდესაც ვაჭრობაში თვალსაჩინო ძალა იყო ნეპმანური ბურჟუაზია; როდესაც ექსპლოატატორ კლასთა ნაშთებივად კულაკობის ძალები ჯერ კიდევ დიდი იყო და როდესაც ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ ცხოვრებაში ხდებოდა ორი სისტემის—კაპიტალიზმისა და სოციალიზმის შეჯიბრება.

ამ 12 წლის განმავლობაში ჩვენმა ქვეყანამ გაუგონარი, [illegible] ცვლილებებს მოაღწია. ლენინის საკითხი „ვინ-ვის", საბოლოოდ და შეუქცევად გადაწყდა სოციალიზმის სასარგებლოდ. კაპიტალიზმი მთლიანად განდევნილია მრეწველობიდან; კერძო ვაჭარი და სპეკულანტი ვაჭრობიდან; კულაკობა მოსპობილია, როგორც კლასი. მეურნეობის სოციალისტური სისტემა განუყოფლად ბატონობს ჩვენს ქვეყანაში. საზოგადოებრივი სოციალისტური საკუთრების გამარჯვების საფუძველზე საბოლოოდ მოსპობილია ექსპლოატატორი კლასები და აღარ არსებობს ადამიანის ექსპლოატაცია ადამიანის მიერ. იშლება საზღვარი კლასებს შორის, ისპობა განსხვავება მუშებს, გლეხებს და ინტელიგენციას შორის. ახალი კონსტიტუციის პროექტში ჩაწერილია ის, რაც მოპოვებულია სსრ კავშირის ხალხების მიერ პროლეტარიატის დიქტატურის საშუალებით, რაც მოპოვებულია მტკიცედ და ურყევად.

ახალი კონსტიტუციით ჩვენი დიადი სამშობლოს ყოველ მშრომელს განურჩევლად მისი რასობრივი და ნაციონალური წარმოშობისა, განურჩევლად სქესისა, ეძლევა შრომისა, სასიხარულო დასვენების, განათლების უფლება—ისეთი უფლებები, რომლებიც წარმოუდგენელი და განუხორციელებელია კაპიტალისტურ საზოგადოებაში.

ახალმა კონსტიტუციამ გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყნის ერთი მტკიცე მონაპოვარიც ჩაწერა—ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის ზეიმი და გამარჯვება, რამაც მოჰყვა საბჭოთა კავშირის წინათ ჩამორჩენილ ნაციათა და ეროვნებათა მეურნეობისა და კულტურის აყვავება.

სტალინური კონსტიტუცია—ეს მძლავრი იარაღია მთელი მსოფლიოს რევოლუციური პროლეტარიატისა და ჩაგრული ხალხების ხელში კაპიტალიზმთან, მისი ბატონობის ყველაზე მეცურ, გაშიშვლებულ ფორმასთან—ფაშიზმთან საბრძოლველად.

სტალინური კონსტიტუცია ნათლად გვიჩვენებს საბჭოთა ხელისუფლების ნამდვილ ხალხურ ხასიათს, უზრუნველჰყოფს ჭეშმარიტ თავისუფლებას ყველა მშრომელისათვის.

„ჭეშმარიტი თავისუფლება არის მხოლოდ იქ, სადაც მოსპობილია ექსპლოატაცია, სადაც არ არსებობს ერთი ადამიანის მიერ მეორის ჩაგვრა, სადაც არ არის უმუშევრობა და სიღატაკე, სადაც კაცი არ კანკალებს იმის შიშით, რომ ხვალ შეიძლება დაჰკარგოს სამუშაო, ბინა, პური. მხოლოდ ასეთ საზოგადოებაში არის შესაძლებელი ნამდვილი და არა მარტო ქაღალდზე არსებული, პირადი და ყოველგვარი სხვა თავისუფლება" (სტალინი).

სწორედ ასეთი საზოგადოება შექმნეს ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით სსრ კავშირის ხალხებმა—ისეთი საზოგადოება, სადაც ხალხისათვის ნამდვილი თავისუფლება ხორციელდება.

პარტიული აქტივის კრება ფიქრობს, რომ ყოველმა პარტიულმა ორგანიზაციამ უნდა გაშალოს კონსტიტუციის პროექტის შინაარსის ღრმა ახსნა-განმარტება და დაიყვანოს ის მოსკოვისა და მისი ოლქის თვითეული კომუნისტის, თვითეული მშრომელის შეგნებამდე.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა, განიხილა რა მოსავლის აღების და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების საკითხი, თავისი გადაწყვეტილებით ყველა პარტიული ორგანიზაცია შეაიარაღა ამომწურავი პრაქტიკული პროგრამით ბრძოლისა იმისათვის, რომ შესრულდეს ამხანაგ სტალინის მითითებანი მოსავლიანობის გადიდების შესახებ და უზრუნველყონ 1936 წელს სოფლის მეურნეობის პროდუქტთა სრული და კოლმეურნეთა შეძლებულობის ახალი აღმავლობა.

მოსავლის აღების სამუშაოთა წარმატების საწინდარია მანქანის, ტრაქტორისა და კომბაინის სრული გამოყენება, ანტიმექანიზატორულ ტენდენციათა გადაჭრით დაძლევა, მოწინავე ადამიანთა-სოციალისტური მიწათმოქმედების სტახანოველთა გამოცდილების და მიღწევების გაბედულად გამოყენება და ნამდვილი სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლა.

პარტიული აქტივის კრება სთვლის, რომ მოსკოვის პარტიულმა ორგანიზაციებმა, რომლებმაც ფართოდ გაშალეს პარტდოკუმენტთა გამოცვლის მუშაობა, ისე უნდა ჩაატარონ გამოცვლა, რომ საქმით განაგრძონ პარტდოკუმენტთა შემოწმების დროს გაწეული უდიდესი მუშაობის შედეგები, გამოააშკარავონ და განდევნონ პარტიის რიგებიდან სოციალიზმის დაუძინებელი მტრები, ტროცკისტები, ზინოვიეველები, თვალთმაქცები, რომლებიც კი შემოწმების დროს გამოუმჟღავნებელი დარჩნენ და რომლებიც პარტიულ ბილეთს იყენებენ თავიანთ საზიზღარი კონტრრევოლუციური საქმიანობისათვის.

პარტიული აქტივის კრება აუცილებლად სთვლის განუხრელად ვიხელმძღვანელოთ ც. კ-ისა და ამხანაგ სტალინის არაერთგზისი მითითებებით, რომ ყურადღებით და გულისხმიერად მოვეპყროთ იმათ, ვინც პარტიიდან გარიცხულია, როგორც ვერშემძლე საკ. კპ. (ბ) წევრის მაღალი სახელწოდების ტარებისა, მაგრამ ვინც პატიოსნად ასრულებს საბჭოთა მოქალაქის მოვალეობას.

მოსკოვის ბოლშევიკები არწმუნებენ ცენტრალურ კომიტეტს, რომ პარტიულ დოკუმენტთა გამოცვლას ისინი ჩაატარებენ ამხანაგ სტალინის მიერ ც. კ-ის პლენუმზე მოცემულ მითითებებთან სრული შეთანხმებით.

პარტიული აქტივის კრება პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების და ყოველი ცალკე ბოლშევიკის განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს ცენტრალური კომიტეტის მიერ მოცემულ გაფრთხილებაზე, რომ აუცილებელია გადაჭრით დავძლიოთ თვითდამშვიდებისა და მედიდურობის ყოველგვარი განწყობილება, გადაჭრით ვიბრძოლოთ დამარცხებული კლასობრივი მტრის ნაშთების დამარცხებული საქმიანობისადმი რევოლუციური სიფხიზლის სულ ოდნავი შესუსტების წინააღმდეგ და მტკიცედ უნდა გვახსოვდეს ამხანაგ სტალინის არაერთგზისი მითითებანი, რომ ჩვენი საბჭოთა სახელმწიფოს მზარდი სიძლიერე აძლიერებს მომაკვდავი კლასების ნაშთთა წინააღმდეგობას.

რევოლუციური სიფხიზლის კიდევ უფრო გაძლიერების, ოპორტუნისტული გულკეთილობისა და მშვიდობიანობის ყოველგვარი გამოხატულების გადაჭრით აღმოფხვრის გზით მოსკოვის ორგანიზაცია კიდევ უფრო ფართოდ და ღრმად გაშლის იდეურ მუშაობას მასებში და განსაკუთრებით კომუნისტებს შორის, აღზრდის მათში ბოლშევიკურ სიფხიზლეს. უნარს—დაინახონ, ამხილონ და ალაგმონ ხალხის მტრების კონტრრევოლუციური ოინები, რარიგ ოსტატურადაც უნდა შენიღბონ თავი.

ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებანი ჩვენი ქვეყნის მშრომელთა მილიონებს აღაფრთოვანებენ შემდგომი ბრძოლის გასაჩაღებლად კომუნიზმის საქმისათვის, ლენინ-სტალინის საქმისათვის და კიდევ უფრო გააღრმავებენ პარტიის თვითეული წევრის, თვითეული მშრომელის საბჭოთა პატრიოტიზმის გრძნობას, პასუხისმგებლობის გრძნობას თავისი სოციალისტური სამშობლოს შემდგომი აყვავებისათვის.

საკ. კპ. (ბ) მოსკოვის ორგანიზაცია არწმუნებს ცენტრალურ კომიტეტს, რომ იგი ბოლშევიკურად განახორციელებს პარტიის ყველა გადაწყვეტილებასა და დიდი სტალინის მითითებებს, რომლებიც თვითეული ბოლშევიკისათვის კანონს წარმოადგენენ.

ლენინურ-სტალინური ც. კ-ის ხელმძღვანელობით, ჩვენი ბელადისა და მასწავლებლის, დიდი **სტალინის** ხელმძღვანელობით, ჩვენ გავწევთ ახალი გამარჯვებისაკენ!

მძლავრი ანტიიაპონური დემონსტრაცია ნანკინში

ტოკიო, 10 ივნისი. დომეი ცუსინის სააგენტოს კანტონელი კორესპონდენტი იუწყება, რომ დღეს იაპონიის გენერალური საკონსულოს წინ გაიმართა მძლავრი ანტიიაპონური დემონსტრაცია, რომელიც ჩინეთის ჟანდარმერიამ და პოლიციამ გაფანტეს მხოლოდ ქუჩაში ბრძოლის შემდეგ. იაპონიის გენერალურმა საკონსულომ პროტესტი განუცხადა ნანკინის საგარეო საქმეთა სამინისტროს და მოსთხოვა გარანტიები, რომ ასეთი ამბები აღარ განმეორდება. (ადს).

ჩან კაი-შის ახალი მიმართვა ჩენ-ძი-ტანს

შანხაი, 11 ივნისი. სენტრალ ნიუსის სააგენტომ გამოაქვეყნა ჩან კაი-შის მეორე მიმართვა გუანსის ჯარების სარდლისადმი, გენერალ ჩენ ძი-ტანისადმი. ჩან კაი-ში აღნიშნავს, რომ სამხრეთ-დასავლეთის ჯარებმა უკვე დაიკავეს რამდენიმე ქალაქი ხუნანის პროვინციის სამხრეთ ნაწილში და განაგრძობენ წინსვლას ჩრდილოეთით, იგი სთხოვს ჩენ ძი-ტანს უკან გაიყვანოს ჯარები და მოახდინოს მათი დემობილიზაცია. „წინააღმდეგ შემთხვევაში, — სწერს ჩან კაი-ში, — შეიძლება შეიქმნას შთაბეჭდილება, რომ ეს არის არა ანტიიაპონური ექსპედიცია, არამედ ცენტრალური მთავრობის ბრძანებისადმი ურჩობა". ჩან კაი-ში აფრთხილებს ჩენ ძი-ტანს, რომ ყალბი ნაბიჯის გამო მან შეიძლება ყველა თავისი პოზიცია დაჰკარგოს, და განმეორებით მოითხოვს, რომ ჩენ ძი-ტანმა უკან გაიწვიოს შემტევი ჯარები და დაემორჩილოს ცენტრალურ მთავრობას (ადს).

◇ ◇ ◇

ჩან კაი-შის მორჩილების პოლიტიკის წინააღმდეგ

ტოკიო, 11 ივნისი. დომეი ცუსინის სააგენტოს კანტონელი კორესპონდენტი იუწყება, რომ სამხედრო ლიდერთა კრებაზე კანტონში გუანსის ჯარების სარდალი ლი ცუნ-ჟენი მოუწოდებდა „გაეწიათ შეიარაღებული წინააღმდეგობა იაპონიის აგრესიისათვის და ჰგმობდა მორჩილების პოლიტიკას, რომელსაც ჩან კაი-ში ატარებს". საერთოდ კი, — სწერს კორესპონდენტი, — „გუანსის ჯარების ლიდერები გულახდილად აცხადებენ, რომ მათ მტკიცედ გადასწყვიტეს გასწყვიტონ კავშირი იაპონიასთან ყველგან, სადაც კი გუანსის ჯარები წინ წაიწევენ ჩრდილოეთის ექსპედიციის განხორციელების პროცესში". ჩენ ძი-ტანის (გუანდუნის ჯარების სარდალი), ლი ცუნ-ჟენი და ბაი ცუნ-სი მოწოდებაში „ჩინეთის ყველა სამხედრო ლიდერისადმი" მოუხმობენ მათ შეუერთდნენ „ჩინეთის ნაციონალურ-რევოლუციურ ანტიიაპონურ არმიას" (ადს).

□ □ □

იაპონია გზაჯვარედინზე

ტოკიო, 11 ივნისი. გაზეთ „ძი-ძის". შანხაელი კორესპონდენტი სწერს:

„სამხრეთ-დასავლეთის დაჯგუფებასთან დაკავშირებით ჩინეთში შექმნილ მდგომარეობას შეიძლება მოჰყვეს საყოველთაო პანიკა და უწესობა შორეულ აღმოსავლეთში და უმძიმესი შედეგები იაპონიისათვის. საქმე ის არის, — განმარტავს კორესპონდენტი, — რომ სამხრეთ-დასავლეთის ლიდერთა ანტიიაპონურ პროპაგანდას მთელს ჩინეთში თანაგრძნობით ხვდებიან და საბოლოოო ანგარიშით ჩინეთის ადგილობრივი სამხედრო ლიდერები გარდუვალად აღმოჩნდებიან მზარდი ანტიიაპონური განწყობილების გავლენის ქვეშ. არსებულ ვითარებაში, — აცხადებს კორესპონდენტი, — იაპონიის მთავრობას შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ ასეთი არჩევანი: „ან დაეხმაროს ნანკინის მთავრობას ანტიიაპონური მოძრაობის დათრგუნვაში, ან გვერდი აუაროს სამხრეთ-დასავლეთის ანტიიაპონურ აგიტაციას". უნდა აღვიაროთ, — სწერს კორესპონდენტი, — რომ არცერთი ვარიანტი იაპონიას ხელსაყრელ პერსპექტივებს არ უქადის. პირველი ვარიანტი საბოლოო ანგარიშით გამოიწვევს ჩან კაი-შის პოზიციის განმტკიცებას, ამასთან ამ შემთხვევაში გარდუვალად გაძლიერდება ინგლისის გავლენა. ამან შეიძლება აიძულოს იაპონია დაიწყოს გენერალური უკანდახევა ჩინეთში იმ წინსწრევისაგან, რომელსაც იგი ამჟამად ახორციელებს. მეორე ვარიანტი „უდრის მომავალ უდიდეს უწესრიგობათა ფესვების შეუფერხებელი ზრდის დაშვებას შორეულ აღმოსავლეთში", რასაც მოჰყვება იაპონიის პრესტიჟის დაცემა (ადს).

◇ ◇ ◇

ა. შ. შტატების რესპუბლიკური პარტიის საარჩევნო პლატფორმა

ნიუ-იორკი 12 ივნისი. რესპუბლიკური პარტიის ყრილობამ დაადგინა ა. შ. შტატების პრეზიდენტის პოსტზე, მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში წამოაყენოს ლენდონის (კანზასის შტატის გუბერნატორი) კანდიდატურა. ყველა სხვა კანდიდატურა მოიხსნა და ყრილობამ დაამტკიცა ლენდონის კანდიდატურა, რადგანაც არავითარი მეტოქე კანდიდატურა არ ყოფილა.

ყრილობამ მოიწონა აგრეთვე ა. შ. შტატების რესპუბლიკური პარტიის საარჩევნო პლატფორმა. საგარეო პოლიტიკის დარგში პლატფორმა წინააღმდეგია ა. შ. შტატების მონაწილეობისა ერთა ლიგაში და საერთაშორისო ტრიბუნალში, წინააღმდეგია აგრეთვე, რომ ა. შ. შტატებმა კავშირი შეჰკრან სხვა ქვეყნებთან. პლატფორმა იწყება ჩვეულებრივი გალაშქრებით რუზველტისა და დემოკრატიული პარტიის წინააღმდეგ და შეიცავს რუზველტის ღონისძიებათა კრიტიკას სოფლის მეურნეობისა და სოციალური კანონმდებლობის დარგში. მაგრამ სოფლის მეურნეობის დარგში პლატფორმა ითვალისწინებს ისეთ ღონისძიებათა გატარებას, რომლებიც არსებითად არაფრით განირჩევა რუზველტის ღონისძიებათაგან. საერთოდ პლატფორმა ვარაუდობს კომპრომისს ლიბერალურ ელემენტებს და რესპუბლიკურ პარტიას შორის დასავლეთის აგრარული შტატებიდან, რომელთაც ხელმძღვანელობენ სენატორი ბორა და აღმოსავლეთის შტატების რეაქციონერი მრეწველები და ბანკირები (ადს).

სსრ კავშირი და შვეიცარია

ჟენევა, 11 ივნისი. დღეს დილას საბჭოთა კავშირისა და შვეიცარიის ურთიერთობის საკითხის შემდგომი განხილვის შემდეგ შვეიცარიის ნაციონალურმა საბჭომ (პარლამენტმა) 96 ხმის უმეტესობით 72 წინააღმდეგ უარჰყო რადიკალ-დემოკრატიული პარტიის წევრის სტიბლის რეზოლუცია. ეს რეზოლუცია მოითხოვდა დიპლომატიური ურთიერთობის დამყარებას შვეიცარიასა და სსრ კავშირს შორის (ადს).

◇

ესპანეთის მეწარმეთა კაპიტულაცია

პარიზი, 12 ივნისი. როგორც მადრიდიდან იუწყებიან, ესპანეთის მეწარმეთა გაერთიანებამ უარი სთქვა საყოველთაო ლოკაუტის მუქარაზე მას შემდეგ, რაც მთავრობამ გააფრთხილა მეწარმენი, რომ ლოკაუტი უკანონოა და რომ მას მეტად სერიოზული რეპრესიული ზომები მოჰყვება (ადს).

□

იტალია იმუქრება ერთა ლიგიდან გასვლას

ლონდონი, 11 ივნისი. მიუხედავად რეიტერის სააგენტოს გაბათილებისა, „მანჩესტერ გარდიანი" აღნიშნავს, რომ იტალიის ელჩმა გრანდიმ სიტყვიერად გადასცა ინგლისის მთავრობას მუსოლინის გადაწყვეტილება ერთა ლიგიდან იტალიის გასვლის შესახებ, თუ ლიგის პლენუმზე სანქციები არ იქნება გაუქმებული (ადს).

◇

იაპონიის პროტესტი

ტოკიო, 11 ივნისი. დომეი ცუსინის სააგენტოს ცნობებით, იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრმა არიტამ წინადადება მისცა იაპონიის კანტონელ გენერალურ კონსულს სასტიკი პროტესტი განუცხადოს სამხრეთ-დასავლეთის დაჯგუფების ლიდერებს ლი ცუნ-ჟენსა და ჩენ ძი-ტანს სამხრეთ-დასავლეთის დაჯგუფების ანტიიაპონური პოზიციის წინააღმდეგ, რომელიც უფრო და უფრო მკაცრი ხდება (ადს).

◇

ინგლისის ხანკოელი გენერალური კონსულის წინადადება

ლონდონი, 12 ივნისი. რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ ინგლისის ხანკოულმა გენერალურმა კონსულმა წინადადება მისცა ხუნანის პროვინციის სამხრეთ ნაწილში მყოფ ყველა ინგლისელს დაუყოვნებლივ წავიდნენ ამ რაიონიდან (ადს).

◇

გერმანიის საიდუმლო პოლიციის მოხელის რემერის საქმე

ჟენევა, 11 ივნისი. ციურიხის ოლქის პროკურორი იუწყება, რომ დააპატიმრეს გერმანიის საიდუმლო პოლიციის მოხელე რემერი. მას ბრალად ედება თავდასხმის მოწყობის ცდა გერმანიის ფაშიზმის წინანდელი რეჟიმის მაღალი თანამდებობის მოღვაწეზე, რომელიც იმ დროს ციურიხის კლინიკაში იმყოფებოდა. პრესა განმარტავს, რომ ლაპარაკია ბრიუნინგზე.

რემერთან ერთად ბრალი ედება გერმანიის საიდუმლო პოლიციის მეორე აგენტს მიულერსაც, რომელიც დაპატიმრებულია პოლანდიაში. მიულერმა პოლანდიაში ციურიხიდან ჩასულ გამომძიებელთან საუბარში აღიარა, გარდა რემერის შეთქმულებაში მონაწილეობისა, მთელი რიგი წლების განმავლობაში გაწვდიდა გერმანიის მთავრობას „პოლიტიკურ ინფორმაციას". 1933 წელს მიულერს საფრანგეთში მიუსაჯეს სასჯელი სამხედრო შპიონაჟისათვის.

რემერის საქმის კვლევა-ძიება თითქმის დამთავრებულია და მალე საქმე სასამართლოს გადაეცემა (ადს).

ამხ. ა. ი. სულთანოვი

ბოლშევიკისა და ამხანაგის ხსოვნას

გარდაიცვალა ამხ. ალა სულთანოვი. [illegible] სიკვდილმა ჩვენს რიგებს მოსტაცა ერთი მტკიცე და თავდადებული მებრძოლთაგანი.

ამხ. ალა სულთანოვი დაიბადა ბაქოში 1901 წელს ყოფილი ბაილოვის [illegible] ნავთის მუშის ოჯახში. 1917 წლიდან იგი აქტიურ მონაწილეობას ღებულობს რევოლუციურ მოძრაობაში.

1919 წელს ამხ. ალა სულთანოვი შედის ბოლშევიკური პარტიის რიგებში და მას შემდეგ პარტიის დავალებით პასუხსაგებ ხელმძღვანელ სამუშაოს ასრულებდა.

აზერბეიჯანში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ამხ. ალა სულთანოვი მუშაობდა აჯიქაბულის რევკომის თავმჯდომარედ, შემდეგ შამქორის სამაზრო რევკომის თავმჯდომარედ, შემახისა და გეოქჩაის მაზრების პოლიტბიუროს უფროსად, აზერბეიჯანის დივიზიის ორგანიზაციის უფროსად და პარტიული კომისიის მდივნად, პარტიის სტალინის რაიკომის ორგანიზაციული განყოფილების გამგედ, განჯის საოლქო კომიტეტის მდივნად, ხოლო 1931 წლიდან 1933 წლამდე აზერბეიჯანის კ. პ. (ბ) ც. კ-ის მეორე მდივნად. 1933 წელს ამხ. ალა სულთანოვი სამუშაოდ გადაიყვანეს საქართველოში და უკანასკნელ დღეებამდე პარტიის ახალციხის რაიკომის მდივნად მუშაობდა.

ამხ. ალა სულთანოვი იყო საქართველოს [illegible] (ბ) [illegible] საკ. კ. პ. (ბ) ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტის, საქართველოს სსრ ცაკის და ა.კ.ს.ფ.ს.რ. ცაკის წევრი.

სიკვდილმა იმ დროს შესწყვიტა ამხ. ალა სულთანოვის სიცოცხლე, როდესაც იგი ჯერ კიდევ ძალ-ღონით და ენერგიით აღსავსე იყო.

ამხ. ალა სულთანოვი იყო გულისხმიერი მგრძნობიარე და მზრუნველი ამხანაგი.

ამხ. ალა სულთანოვი იყო მტკიცე ბოლშევიკი, ენერგიული მებრძოლი პარტიის გენერალური ხაზის განხორციელებისათვის, სოციალისტური მშენებლობის ამოცანათა განხორციელებისათვის.

ლ. ბერია, გ. მუსაბეკოვი, ხ. კუდრიავცევი, მ. ჯ. ბაგიროვი, გ. მგალობლიშვილი, ვ. ბაქრაძე, ჰუს. რახმანოვი, გ. არუთინოვი, მ. ეფენდიევი, ა. აკოფოვი, მ. ნარიმანოვი.

სამძიმრის დეპეშა

ბაქო, ალიმალი-ოღლის ქუჩა, სახლი № 8
დოსტუ მურად ყიზი სულთანოვას

თქვენთან ერთად ღრმად ვწუხვართ ძვირფასი ამხანაგის ალა სულთანოვის მოულოდნელ გარდაცვალებას. გულწრფელ სამძიმარს გიცხადებთ მძიმე მწუხარების გამო.

ლ. ბერია
გ. მუსაბეკოვი
ხ. კუდრიავცევი

საკ. კ.პ. (ბ) ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტი მწუხარებით იუწყება საკ. კ.პ. (ბ) ა.-კავკასიის სამხარეო კომიტეტის და საქართველოს კ.პ. (ბ) ც. კ-ის წევრის — საქართველოს კ.პ. (ბ) ახალციხის რაიკომის მდივნის

ალა ისმაილის-ძე სულთანოვის

გარდაცვალებას.

ბრძოლა სიძვირის პროვოცირებასთან საფრანგეთში

პარიზი, 11 ივნისი. ეგრეთწოდებული „მატინონის პაქტის" (8 ივნისის ძირითადი შეთანხმების სახელწოდება) საფუძველზე მიღწეულია შეთანხმება გაზ-ელექტრო მომარაგების საწარმოებში.

გუშინ თითქმის ოფიციალურად გამოქვეყნდა კონფლიქტების ლიკვიდაცია კერძო სადაზღვევო კომპანიებში. დღეს სადაზღვევო კომპანიათა მოსამსახურეების დელეგაციამ გააბათილა ეს ცნობა. ჩაიშალა შეთანხმება აგრეთვე პარიზის ოტელების, რესტორანების, კაფეების და ბარების მეწარმეებსა და მუშებს შორის. მიზეზია მეწარმეთა უარისთქმა დააწესონ ხელფასის ისეთი განაკვეთები, რომლებიც საარსებო მინიმუმს შეესაბამებიან. გრძელდება ბრძოლა პარიზის რაიონის ლითონის ასეულ საწარმოში. მთელ რიგ შემთხვევებში მეწარმენი აჭიანურებენ მოლაპარაკებას, რომ დრო მოიგონ.

ამავე დროს მეწარმეთა მხრივ ფრიად გარკვეული მანევრი ისახება: ხდება მთელი რიგი საქონლის საბითუმო ფასების ცოტად თუ ბევრად საგრძნობი მომატება. ეს დაუყოვნებლივ გავლენას ახდენს საცალო ფასებზე და მოსახლეობის მსყიდველობით უნარზე. მოსახლეობის თვალში ამ ფაქტს ისე ასაღებენ, ვითომც ეს მუშების მოთხოვნათა დაკმაყოფილების შედეგი იყოს.

სიძვირის პროვოცირებასთან ბრძოლა ხდება ერთერთ ცენტრალურ პოლიტიკურ პრობლემად. მდგომარეობის სერიოზულობას მოწმობს შინაგან საქმეთა მინისტრის ცირკულარი, რომელიც პრეფექტებს წინადადებას აძლევს ენერგიული ზომები მიიღონ ფასების უკანონო მომატების წინააღმდეგ და დამნაშავეებს სისხლის სამართლის წესით პასუხისგებაში მიცემას ემუქრება.

ხელოვნურ გაძვირებასთან ბრძოლას ერთერთი პირველი ადგილი უკავია აგრეთვე საფრანგეთის კომპარტიის პოლიტბიუროს გუშინდელი სხდომის გადაწყვეტილებებში; ეს სხდომა შესდგა ამხ. სემარის თავმჯდომარეობით (ადს).

□ □ □

წითელი ფლოტის ლეიტენანტთა გამოშვება

ლენინგრადი, 11 ივნისი. 11 ივნისს მ. ბ. ფრუნზეს სახელობის სამხედრო-საზღვაო სასწავლებელმა გამოუშვა წითელი ფლოტის ლეიტენანტთა პირველი რაზმი.

გამოშვებულთა შორის დიდი უმრავლესობა კომუნისტები და კომკავშირელები არიან. სამხედრო-საზღვაო ტაქტიკაში, ნავიგაციაში, ასტრონომიაში, იარაღის [illegible], [illegible] და ტორპედოს [illegible] „ფრიადოსნების" 50 პროცენტმა მიიღო შეფასება „ფრიადი" და 40 პროცენტმა „კარგი". ყველა ისინი [illegible] ტექნიკას.

ფრუნზეს სახელობის მოედანზე გაიმართა გამოშვებულთა პარადი, რომელსაც დაესწრო თავდაცვის სახალხო კომისრის მოადგილე, საბჭოთა კავშირის მარშალი ამხ. ტუხაჩევსკი.

საზეიმო [illegible] მოისმინეს გამოშვებულებმა საბჭოთა კავშირის თავდაცვის სახალხო კომისრის, საბჭოთა კავშირის მარშალ ამხ. ვოროშილოვის ბრძანება, წაკითხულ იქნა წითელი ფლოტის რიგებში მიმავალ მეთაურთა [illegible].

გამოშვებულთადმი მიმართული სიტყვის შემდეგ ამხ. ტუხაჩევსკიმ გადასცა ლეიტენანტებს ამხ. ვოროშილოვის მხურვალე სალამი. მოედანზე გაისმა მძლავრი „ვაშა". საზეიმო მარშით ჩაიარეს ფლოტის ახალმა მეთაურებმა.

საღამოს ფრუნზეს სახელობის სამხედრო-საზღვაო სასწავლებლის შენობაში საზეიმო სხდომა გაიმართა ლეიტენანტების გამოშვების გამო (ადს).

ა. ივინი

ჩინეთის წითელი არმია ერთიანი ფრონტისათვის ბრძოლაში*)

„მანჯურია დეილი ნიუსი", ეხება რა მოწინავე სტატიაში საფრანგეთის უკანასკნელი არჩევნების შედეგებს, სიტყვებს ვერ პოულობს, რომ გამოსთქვას თავისი აღშფოთება საფრანგეთის კომპარტიის მოქმედების გამო; მას ერთდროულად ბრალსა სდებს თავისი სამშობლოს ღალატშიც და კომუნიზმის საქმის ღალატშიც!

რით აიხსნება ეს აღშფოთება და ეს მოულოდნელი ზრუნვა კომუნისტური პრინციპების სიწმინდეზე ისეთი არქი-იმპერიალისტური ორგანოს მხრივ, როგორიც არის ზემოხსენებული გაზეთი?

ეს იმით აიხსნება, რომ ბრწყინვალე გამარჯვება ერთიანი ფრონტისა, რომლის სულისჩამდგმელნი და ინიციატორნი საფრანგეთის კომუნისტები არიან, იაპონიაში სთვლიან — და საფუძვლიანადაც — არა მარტო ევროპის ფაშიზმის ერთერთ მეტად სერიოზულ დამარცხებად, არამედ დიდად საშიშად იაპონიის ფაშიზმისათვისაც, რომლის თვალწინ უფრო და უფრო სწრაფად და ფართოდ ჩაღდება ბრძოლა ერთიანი სახალხო ანტიიაპონური ფრონტისათვის ჩინეთში.

ასეთი ფრონტის შექმნის პერსპექტივა ყოველთვის საფრთხობელა იყო იაპონიისათვის (მით უფრო ამჟამად, როცა იაპონიის მილიტარიზმმა, როგორც სჩანს, გადასწყვიტა გადაეშვას ავანტიურაში და გამალებით ემზადება აშკარა შეიარაღებული თავდასხმისათვის საბჭოთა კავშირზე), ვინაიდან ერთიანი ფრონტი ნიშნავს არა მარტო შეუდარებლად უფრო ეფექტიური წინააღმდეგობის გაწევას იაპონიის შემოტევისათვის თვით ჩინეთში, არამედ იგი **იაპონიას ხელიდან აცლის ერთერთ მის მთავარ კოზირსაც „დიდ ომში".** იაპონიის ყველა სტრატეგის აზრით, ასეთი ომის წარმატებით საწარმოებლად ერთერთ მთავარ პირობას წარმოადგენს არა მარტო ოფიციალური ჩინეთისა და იმ სოციალური ფენებისა და კლასების ნეიტრალიზაცია, რომლებსაც იგი ეყრდნობა, არამედ მისი აქტიური თანამშრომლობაც.

ორიენტირება მხოლოდ და მხოლოდ იაპონიაზე, მანჯოუგოს აღიარება და ბრძოლა კომუნიზმის წინააღმდეგ მანჯოუგოსთან და იაპონიასთან ერთად, — აი სამი ულტიმატური მოთხოვნა, რომლებიც წაუყენა ნანკინს იაპონიის ახლანდელმა პრემიერმა ხიროტამ.

ოფიციალურმა ჩინეთმა რომ გაბედოს დააკმაყოფილოს ეს მოთხოვნები და დასთანხმდეს მანჯოუგო-იაპონია-ჩინეთის ანტისაბჭოთა ბლოკის შექმნას, ტოკიო დიდსულოვნად უარს იტყვის ახალი „ავტონომიური" მთავრობების შედგენაზე ჩინეთში და აქტიურადაც კი დაეხმარება ნანკინს მისთვის უკვე არსებული მთავრობანი. მაგრამ ნანკინი ვერ ბედავს მიიღოს ეს მოთხოვნები, ვინაიდან როგორც ამას მთელი ჩინეთის პრესა გაჰყვირის, — ეს იქნებოდა ჩინეთის დიდი რესპუბლიკის გადაქცევა მეორე მანჯოუგოდ, რაც ნაკლებად ჰხიბლავს ოფიციალურ ჩინეთსაც კი, როგორც, ალბათ, ნაკლებად ჰხიბლავს თვითონ ჩან-კაი-შის მეორე პუ-ის როლი, რომელსაც იაპონია მას დაუთმობდა.

რათა დასძლიოს ჩინეთის მმართველი წრეების წინააღმდეგობა, იაპონიის იმპერიალიზმი მიმართავს არა მარტო მუქარასა და სამხედრო ღონისძიებებს, არამედ ფართოდ იყენებს აგრეთვე ჩინეთის მქონებელ კლასებზე ფსიქოლოგიური ზემოქმედების ყველა საშუალებას, აშინებს მათ „კომუნისტური რევოლუციის" მრისხანე აჩრდილით.

მაგრამ იმ მრისხანე საფრთხის დროს, რომელიც მთელს ჩინეთს თავს დასტრიალებს, ასეთი ნაცადი საშუალებაც კი უფრო და უფრო ჰკარგავს თავის ეფექტიურობას, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ჩინეთის კომპარტიამ გადაჭრით წამოაყენა ერთიანი ნაციონალური ანტიიაპონური ფრონტის ლოზუნგი.

ჩინეთის საბჭოთა მთავრობის თავმჯდომარემ მაო ცზე-დუნმა ჩინეთის რევოლუციური პრესის წარმომადგენლებისათვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა: „იაპონიასთან საბრძოლველად და ქვეყნის გასათავისუფლებლად ერთიანი ფრონტის შექმნა მთელი ჩინეთის ყველა პოლიტიკურ ჯგუფთან და პარტიასთან, მათი წინანდელი თვალსაზრისის დამოუკიდებლად — ასეთია პოლიტიკა რომელსაც ჩინეთის საბჭოთა მთავრობა შეუპოვრად, გადაჭრით და მთელი სულით და გულით ატარებს. ამ დიადი მიზნის სარეალიზაციოდ ჩვენ ვახდენთ ყველა იმ ძალისა და საშუალების მობილიზაციას, რომლებიც კი ჩვენს განკარგულებაშია. ჩინეთის საბჭოთა მთავრობა მზად არის ყოველთვის და ყოველ ადგილას დაიწყოს მოლაპარაკება ყველასთან, ვინც მზად არის ებრძოლოს იაპონიას. მთელს ჩვენს მოლაპარაკებაში ძირითადი პირობაა შემდეგი: **ბრძოლა იაპონიის წინააღმდეგ ჩინეთის განთავისუფლებისათვის.**

„...ჩვენი მთავარი მტერი, — განაცხადა თავის მხრივ ჩინეთის საბჭოთა მთავრობის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა, — იაპონიის იმპერიალიზმია, ის ქვეყნები, რომლებიც იაპონიის წინააღმდეგ ჩვენი ბრძოლისადმი კეთილ-სასურველ ნეიტრალიტეტს იცავენ, ჩვენი მეგობრები არიან და ჩვენ მზად ვართ ვიქონიოთ მათთან მეგობრული დიპლომატიური ურთიერთობა თანასწორობის საფუძველზე. ჩვენი ქვეყანა ეკონომიურად ჩამორჩენილია. აქედან ჩვენთვის გამომდინარეობს აუცილებლობა ვითანამშრომლოთ ეკონომიურად პროგრესიულ სახელმწიფოებთან. ამიტომ ჩინეთის საბჭოთა მთავრობა მზად არის ყველა მეგობრულ ქვეყანასთან დასდოს ეკონომიური შეთანხმებანი, დამყარებულნი თანასწორობის საფუძველზე. უთანასწორო ხელშეკრულებათა მოსპობა რჩება ჩინეთის საბჭოთა მთავრობის ერთერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად. ამის მიღწევა შეიძლება ყველასთან — იაპონიის გამოკლებით — დიპლომატიური მოლაპარაკების გზით. იმპერიალისტური იაპონია წარმოადგენს ჩინეთის ხალხის ყველაზე საშიშ მტერს, ჩინეთის საბჭოთა მთავრობას სურს ჩინეთის ხალხის ინტერესებისათვის დამყაროს მშვიდობიანი და მეგობრული ურთიერთობა ყველა სხვა სახელმწიფოსთან".

ჩინეთის კომპარტიის ახალი ტაქტიკას სულ უფრო და უფრო ცხოველ გამოხმაურებას პოულობს ჩინეთის საზოგადოების თითქმის ყველა ფენაში. აღარაფერს ვამბობთ სტუდენტობის პატრიოტულ მოძრაობაზე, რომელიც უზარმაზარ ტალღებად იდება მთელ ჩინეთში ერთიანი ფრონტის ლოზუნგით. საკმარისია აღინიშნოს აშკარა გამოსვლა ისეთი სრულიადაც არა რევოლუციური პოლიტიკური მოღვაწეებისა, როგორიც არის გუანდუნის ყოფილი გუბერნატორი გენერალი ჩენ მინ-შუ, როგორიც არის გამოჩენილი ჩინელი მეცნიერი ჩან ტაენი, როგორიც იყო გომინდანის გუანდუნ-გუანსის ჯგუფის ამ ცოტა ხნის წინათ გარდაცვლილი მეთაური ხუ ხან-მინი, ბოლოს საკმარისია აღინიშნოს რეაქციული ბურჟუაზიული გაზეთის „იშიბაოს" განცხადება და გენერალ ფინ იუი-სიანის ესოდენ ახმაურებული ინტერვიუ, რომელშიაც იგი არამარტო მხარს უჭერს ერთიან ფრონტს თვით ჩინეთში, არამედ მხურვალედ მოითხოვს სსრ კავშირთან კავშირის დამყარებასაც.

ფინის გამოსვლამ უდიდესი აურზაური გამოიწვია იაპონიის ოფიციალურ წრეებში, ვინაიდან ფინი, ჯერ ერთი, ამჟამად ნანკინის მთავრობის ერთერთი უთვალსაჩინოესი წევრია, მეორეც, იაპონიის დაქირავებული აგენტის, ხობეი-ჩახარის „ავტონომიური მთავრობის" მეთაურის გენერალ სუნ ჩი-იუანის ჯარები არიან ფინ იუი-სიანის ყოფილი ჯარისკაცნი, რომელთათვის თავისი ძველი მარშლის სიტყვებს ბევრად უფრო მეტი ავტორიტეტი აქვს, ვიდრე მათი უშუალო უფროსების სიტყვებსა და დაპირებებს, რომ აღარ ვილაპარაკოთ ამ უფროსებთან მიჩენილ იაპონელ მრჩევლებზე, რომლებსაც საყოველთაო სიძულვილი აქვთ დამსახურებული.

ასეთ დროს საფრანგეთში ერთიანი ფრონტის შექმნისა და ბრწყინვალე გამარჯვების ამბავმა, თუ პრესის კომენტარიების მიხედვით ვიმსჯელებთ, უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა ჩინეთის საზოგადოების ყველაზე კონსერვატიულ წრეებზეც კი. ჩინელი ინტელიგენტი, ჩინელი [illegible], ჩინეთის ყოველი პატიოსანი პოლიტიკური მოღვაწე მსჯელობს, — რატომ ჩვენ, ყველა ჩინელი არ უნდა გავერთიანდეთ, რატომ უნდა უკუვაგდოთ ჩინეთის კომპარტიის ჩინეთის საბჭოთა მთავრობის თანამშრომლობა, რომლებსაც მხარს უჭერენ მშრომელთა ათეული მილიონები, ზურგს უმაგრებს უძლეველი წითელი არმია, რომლის გმირობით შეუძლია მხოლოდ იამაყოს იაპონიის თავხედი არმიის წინაშე მთავრობის მილიონიანი არმიების სრული იმპოტენტობით შეურაცხყოფილ ყოველ ჩინელ პატრიოტს.

მართლაც, განა ბევრია მთელს მსოფლიო სამხედრო ისტორიაში ისეთი გმირული ლაშქრობანი, როგორიცაა სი სიან-მინის მე-4 წითელი არმიის ლაშქრობა ხენან-ხუბეი-ანხუის საზღვრიდან და ჩრდილო-აღმოსავლეთ სიჩუანიდან, როგორიცაა სიუ ხაი-დუნის მე-25 პონტონერთა კორპუსის ლაშქრობა შედარებით ამ (ცოტა ხნის წინათ იმავე) რაიონიდან შენსისა და შანსისაკენ, რომ არაფერი ვთქვათ ჩუ-დეს და მაო ცზე-დუნის დასავლეთ ლაშქრობაზე, ან სიაო-კეს და ხო-ლუნის განუწყვეტელ ლაშქრობაზე ხუნანის, ხუბეის, გუიჯოუს და იუნანის პროვინციებში.

გუიჯოუში, იუნანში, სიჩუანსა და შენსიში წითელიარმიების დიდ წარმატებათა და ბრწყინვალე გამარჯვებათა შემდეგ, ხოლო, რაც მთავარია, იმ გულმხურვალე მხარდაჭერის მეოხებით, რომელსაც ისინი ყველგან ხვდებიან მშრომელი მასების მხრივ, — „კომუნისტების განმტკიცება დასავლეთ პროვინციებში", ახლა კი ჩრდილო პროვინციებში იაც. შესაძლებლობიდან სინამდვილე იქცა. ხოლო ამ ფაქტის ნავარაუდევი საშიშროება, რა თქმა უნდა არა „მთელი ჩინეთისათვის" არამედ იმ ჩინეთისათვის, სადაც ბატონობენ იაპონელი იმპერიალისტები და მათი დაქირავებული აგენტები, ხელშესახებ რეალობად ხდება მეტადრე იმ მომენტიდან დაწყებული, როცა წითელი არმიის ავანგარდი მაო ცზე-დუნის მეთაურობით, შანსის პროვინციის დასავლეთ ნაწილში შეიჭრა.

„წითლები, — აღნიშნავს ბრიტანეთის იმპერიალისტური ორგანო „პეკინ ენდ ტიანძინ ტაიმსი", — ამჟამად ფლობენ ბაზას ჩრდილო შენსისა და დასავლეთ შანსიში, თუმცა ეს რაიონი ღარიბია და სუსტად დასახლებული, მაგრამ სამხედრო და სტრატეგიული მხრივ საგრძნობლად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სამხრეთ ციანსის ცენტრალური საბჭოთა რაიონი, რომლის შენარჩუნება მათ მრავალი წლის განმავლობაში შესძლეს".

„გარდა ამისა, ჩრდილო შენსიში კომუნისტები ემყარებიან ხალხის [illegible] დახმარებას. იქ ლიუ-ცი-დანის პროპაგანდისტულ მუშაობას საგრძნობი წარმატება ჰქონდა გლეხობაში. საბჭოთა მოძრაობამ აქ ღრმად გაიდგა ფესვები".

რაც შეეხება მთავრობის ჯარებს, „ისინი ყოველთვის დიდი პატივისცემით (**awholesome respect**) ეპყრობოდნენ წითელ არმიებს, უფრო სწორად რომ ითქვას, მათ ეშინოდათ წითლებისა. და ის გარემოება, რომ მათ არ სურდათ იერიში მოეტანათ წითლების წინააღმდეგ, ჩან კაი-შისათვის მრავალი წლის განმავლობაში ერთერთ უაღრესად სერიოზულ პრობლემას წარმოადგენდა. ამავე დროს განუზომლად უფრო ძნელია ბრძოლა წითლებთან ახლა, როცა ისინი გამოდიან, როგორც პატრიოტები და ნაციონალისტები. ჩვენ არ გვავიწყდება, თუ პირდაპირ როგორ დადნენ 1926 წელს უ პეი-ფუს არმიები ნაციონალისტური პროპაგანდის შედეგად და ამით კანტონის ექსპედიციას საშუალება მისცეს რამდენიმე თვეში მიეღწიათ იანძიმდე.

— ერთი სიტყვით, — ამბობს დასასრულ ჩვენ მიერ ციტირებული ორგანო, — წითელი ნაწილების შენსის პროვინციაში შეჭრა სცვლის პოლიტიკურ და სამხედრო ვითარებას მთელ ჩრდილო-ჩინეთში.

აქედან გამომდინარეობს იაპონიის მილიტარისტთა მუქარა გაგზავნონ შანსიში იაპონიის ორი დივიზია მთავრობის ჯარების დასახმარებლად, რადგან იაპონელებს მშვენივრად ესმით, რომ ნანკინის პრესტიჟისათვის არაფერს არ ექნებოდა ესოდენ საბედისწერო გავლენა, თუმცა ამავე დროს არაფერი ისე არ წასწევდა წინ ერთიანი ფრონტის შექმნის საქმეს, როგორც იაპონიისა და ნანკინის დივიზიების ერთად გალაშქრება წითელი არმიის წინააღმდეგ. სწორედ ამ უკანასკნელმა მოსაზრებამ აიძულა იაპონელები თავი შეეკავებინათ. მით უფრო, რომ „შანსის და მთავრობის დივიზიების ზემოქმედებით, რომლებსაც ნანკინის საჰაერო ესკადრილიები აქტიურად ეხმარებოდნენ, მაო ცზე-დუნი იძულებული გახდა დროებით დაეცალა შანსის მთელი რიგი სამაზრო ქალაქები, რამაც ნანკინს საბაბი მისცა კვლავ მოერთო ყვირილი თავის „ბრწყინვალე გამარჯვებათა შესახებ წითლებზე".

ნამდვილად კი საქმე რამდენადმე სხვანაირადაა.

„ამჟამად, — ვკითხულობთ „ჩინეთის ნაციონალური მიმოხილვის" მაისის ნომერში, — კომუნისტები უკან იხევენ ჩრდილო-დასავლეთით შენსის პროვინციისაკენ. მისდევენ რა პარტიზანული ომის ტაქტიკას ისინი დანაწილდნენ პატარ-პატარა მოძრავ კოლონებად. ამ კოლონებს გამუდმებით იერიშები მიაქვთ მათ მდევნელ ჯარებზე. მათ მიერ დაკავებული მაზრების სრული გაწმენდა განსაზღვრულ დროს მოითხოვს, და ეს იმ პირობით, რომ ჯარები რომლებსაც ესოდენ საძნელო ამოცანა ეკისრებათ, არ დაუდევრდებიან მოწინააღმდეგის მხოლოდ გარემოცვას. ასეთი სტრატეგია დღემდე კარგ შედეგებს არ იძლეოდა, ვინაიდან ბევრჯერ ყოფილა ხოლმე, რომ წითელი ნაწილებისათვის ალყა შემოურტყამთ ისეთი ძალებით, რომლებიც მათ შვიდჯერ და რვაჯერ აღემატებოდნენ, და მაინც მათ ყოველთვის თავი დაუღწევიათ. ამის უფრო ახალ მაგალითს წარმოადგენენ სიაო კეს და ხო ლუნის კორპუსები (15 ათასი კაცი), რომლებსაც გარს არტყამს ხუნანის ასიათასიანი არმია", მაგრამ ეს ხელს ვერ უშლის სიაო კესა და ხო ლუნს მონაწილეობა მიიღონ იუნანის იმ საოლქო რევოლუციური მთავრობის შექმნაში, რომელიც მიზნად ისახავს „გაათავისუფლოს სამი პროვინციის (იუნანი, გუიჯოუ, სიჩუანი) ხალხი, განამტკიცოს ნაციონალურ რევოლუციური ფრონტი, მოახდინოს მასების მობილიზაცია ჩრდილო-ჩინეთში მყოფი ჯარების დასახმარებლად და მოაწყოს ანტიიაპონური ომი".

უკანასკნელი ცნობების თანახმად, ხო ლუნის ნაწილებმა უკვე გადალახეს იანძი და წინ მიიწევენ, რათა შეუერთდნენ ჩუ დისა და სიუი სიანციანს, რომლებიც მოქმედებენ სიკანში და სამხრეთ-დასავლეთ სიჩუანში. მოასწავებს ეს წითელი არმიის მთავარი ნაწილების დაუყოვნებლივ გადატყორცნას ჩრდილო-ჩინეთში, თუ მხოლოდ წინასწარი მანევრია, — ამის თქმა ჯერ კიდევ ძნელია. ერთი რამ კი უეჭველია: შანსიში **მაო ცზე-დუნის შეჭრით ჩინეთის წითელი არმია იწყებს ახალ კამპანიას: კამპანიას იაპონიის იმპერიალიზმის წინააღმდეგ.** რასაც უკვე თვით იმპერიალისტური პრესაც აღნიშნავს. ეს შეჭრა „მანჯურია დეილი ნიუსის" მტკიცებით, — განცალკევებული მოქმედება კი არ არის, არამედ ნაწილია გულდასმით შემუშავებული გეგმისა, რომელიც მიზნად ისახავს „ჩაშალოს იაპონიის, ჩინეთისა და მანჯოუგოს შეთანხმებული მოქმედება წითელი საფრთხის წინააღმდეგ".

„კომუნისტური ჯარების ანტიიაპონური კამპანია, — წინასწარმეტყველებს „ჯაპან ადვერტაიზერი", არა მარტო შეასუსტებს ნანკინის პოზიციებს, არამედ შეზღუდავს მის პროიაპონურ პოლიტიკასაც", — სხვანაირად რომ ვთქვათ, იგი იქნება ახალი მძლავრი სტიმული ერთიანი ნაციონალური ფრონტის შექმნის საქმეში, რაც ასე აშინებს, მაგრამ რისი თავიდან აცილება არ ძალუძს იაპონიის თავაშვებულ იმპერიალიზმს.

◆

---

*) სტატია დაწერილია სპეციალურად გაზ. „კომუნისტისათვის".

მგზავრთა უკეთესი მომსახურებისათვის

მგზავრთა გადაყვან-გადმოყვანა, რკინიგზის ტრანსპორტის მუშაობის ეს მნიშვნელოვანი და მეტად პასუხსაგები საქმე, აქამდე ვერ იდგა სათანადო სიმაღლეზე. ამ მხრივ ბევრი ნაკლი ახასიათებდა რკინიგზების მუშაობას. ამჟამად მრავალი რამ გამოსწორდა, მაგრამ გასაკეთებელიც კიდევ ბლომად არის.

რკინის სახკომის ამხ. ლ. მ. კაგანოვიჩის საბრძოლო მოწოდებამ, რომ სოციალისტურ სამშობლოში მგზავრთა მიმოსვლა ჯეროვან სიმაღლეზე უნდა იდგეს, ფართო და აქტიური გამოძახილი ჰპოვა რკინიგზელთა მასებში. სახკომის მოწოდებაზე რკინიგზელთა მასების გამოხმაურების საუკეთესო ნიმუშია დებალცოველი სადგურის მოლარის ამხ. ალადინის თაოსნობა, რომელმაც იდეალურად მოაწყო მგზავრთა მომსახურების საქმე: სატრანზიტო მგზავრების გზაში შეხვედრით, საგარეუბნო მატარებლებზე გასასყიდი ბილეთების წინასწარი დამზადებით და სხვ.

ამ მოძრაობაში არც ამიერ-კავკასიის რკინიგზა ჩამორჩება. აქ სადგურები და ვაგზლები ერთმანეთს ეჯიბრებიან. ალადინის გამოცდილებას დღეს ყველა იყენებს თავის ყოველდღიურ მუშაობაში. კერძოდ, ტფილისის სადგურში მას პირველად ვაგზლის მორიგე ამხ. გრ. ცინცაძე და მოლარე თევზაძე გამოეხმაურნენ, მათი თაოსნობით დაიწყო მგზავრთა პირველი საცდელი შეხვედრა გზაში. 24, 26 და 29 მაისს ისინი შეხვდნენ ბათომიდან მომავალ მატარებელს №43 და მოახდინეს უპლაცკარტო ბილეთების კომპოსტირება გზაში, მატარებლის მსვლელობის დროს, სატრანზიტო მგზავრთათვის პლაცკარტიანი ადგილების დაჯავშნა და სხვ. ამ ცდამ ძალზე კარგად ჩაიარა, მგზავრები მას აღფრთოვანებით შეხვდნენ. სამი დღის განმავლობაში ამხ. ცინცაძემ და თევზაძემ გზაში დააკომპოსტირეს 63 ბილეთი და დაუჯავშნეს სატრანზიტო მგზავრებს 49 პლაცკარტიანი ადგილი.

მგზავრთა სანიმუშო მომსახურების მაგალითები გვაქვს ბაქოს სადგურშიაც, სადაც ვაგზლის მორიგე ამხ. ვოხმიანინი მგზავრთა კულტურული მომსახურების საუკეთესო ნიმუშებს იძლევა.

ვოხმიანინმა მგზავრთა მომსახურების ოთხი მთავარი პირობა გამოიმუშავა: თვალის მომჭრელი სისუფთავე ვაგზლის ყველა კუნჭულში, მგზავრის სწრაფი უზრუნველყოფა ბილეთით, მისდამი მაქსიმალური ყურადღება ბილეთის შეძენის მომენტიდან მატარებლის გასვლამდე და მგზავრისათვის წესიერად შეტყობინება მატარებლის გასვლის დროის, ბარგის ჩაბარებისა და სხვ.

როგორ აღწევს ამას ეს წარჩინებული ადამიანი?

მორიგეობის მიღებისთანავე ის ჩამოივლის ვაგზალს და ამოწმებს — ყველგან სისუფთავეა თუ არა, შემდეგ ამოწმებს თავისი ცვლის ყველა მუშაკს, თუ როგორ გამოიყურებიან ისინი, სუფთად არიან ჩაცმულნი თუ არა, თუ ნახა, რომ ვინმე ფორმაში არ არის, ან გაუპარსავია არ უშვებს სამუშაოზე.

განსაკუთრებით კარგად აქვს დაყენებული ამხ. ვოხმიანინს მგზავრების ვაგონებში ჩასხმა. ჩასხმის წინ იგი ამოწმებს ვაგონების სისუფთავეს, ტრაფარეტებს და, ტექნიკოსთან ერთად, ვაგონების ტექნიკურ მდგომარეობას, როდესაც დარწმუნდება, რომ ყველაფერი რიგზეა, ატყობინებს დარბაზის მორიგეს, თუ როგორ მოახდინოს მგზავრების ჩასხმა და რომელ ლიანდაგზე.

მგზავრები ნაწილდებიან დარბაზებში იმ მატარებლებისა და ვაგონების მიხედვით, რომლითაც ისინი მიდიან. პერონზე უშვებენ ხუთ-ხუთ კაცს თვითეულ ვაგონში. ამგვარი წესით ახლა ბაქოს ვაგზალში მატარებელში ჩასხდომისას სრული წესრიგია, აღარ არის ფუსფუსი, სირბილი, და აყალ-მაყალი.

და აი, ბაქოს ვაგზალში მგზავრთა მომსახურების ეს საუკეთესო ორგანიზატორი — ამხ. ვოხმიანინი — ამას წინათ თავისი ბრიგადით, გამოცდილების გასაზიარებლად და სოცშეჯიბრების ხელშეკრულების დასადებად ესტუმრა ტფილისის ვაგზლის მუშაკებს.

საკუთარ გამოცდილებათა ურთიერთგაზიარების შემდეგ, გზის ორ უმნიშვნელოვანეს სადგურებს შორის (ტფილისი, ბაქო) დაიდო სოციალისტური ხელშეკრულება მგზავრთა კულტურულ მომსახურებაზე.

ტფილისელებმა იკისრეს ვალდებულება რომ მოაწყონ მებარგეთა საშუალებით მგზავრისათვის ბარგის მიტანა სადგურიდან სახლში და სახლიდან სადგურში. სისტემატურად გამოიყენონ მოლარის ალადინის მეთოდი, გააუმჯობესონ სატრანზიტო მგზავრთა კულტურული მომსახურება ქალაქში ექსკურსიების მოწყობით. ამასთან ტფილისელები გვპირდებიან გააძლიერონ ყურადღება ადგილობრივ მატარებელთა მგზავრებისადმი ბილეთების წინასწარი მომზადებით და სხვ.

ორივე მხარე პირობას იძლევა, მოამზადონ მაღალკვალიფიციური მუშაკები სუფთად შეინახონ ვაგზალი და გაავრცელონ თავისი გამოცდილება დანარჩენ სადგურებზე, პირველ რიგში ბაქოელებმა — ხაჩმასზე და ტფილისელებმა კასპის სადგურზე.

ტფილისელები უკვე ახორციელებენ ამ ვალდებულებებს. ვაგზლის შენობა მართლაც რომ საუცხოოა, კულისკარი გაეხსნება, იქ რომ შეხვალთ. დარბაზი მოვარაყებულია ათასფერად, ირთვება და კოპწიავდება ვაგზალი შიგნით თუ გარეთ. რემონტდება საგარაკო პავილიონიც.

მაგრამ ნაკლი ჯერ კიდევ მაინც არის. ტფილისის ვაგზალში კვლავ შეხვდებით რიგებს სალაროებთან პერონზე გასვლის დროს უწესრიგობას მცველთა და პერონის კონტროლიორთა უზრდელსა და უდიერ მოპყრობას მგზავრებთან. ტფილისიდან გასასვლელი მატარებლის ვაგონებში მგზავრები ნერვიულობენ, რადგანაც ერთ ადგილზე ორი და ზოგჯერ სამი ბილეთი გაუყიდიათ. ტფილისის ვაგზალში ძალიან იშვიათია რომ რბილი ადგილი იშოვოთ, თუ დამხმარე არა გყავთ. ყველა ეს უსიამოვნო ჩრდილსა ჰფენს იმ მიღწევებს რომლებიც ტფილისის ვაგზალს აქვს მოპოვებული.

ხაზის სადგურებს თუ ჩავივლით ბევრ ადგილას ვხვდებით უწესრიგობას და უსუფთაობას ასეთი მდგომარეობაა ისეთ მნიშვნელოვან სადგურებზე, როგორიცაა გორი, ხაშური, ჯულელი, რიონი.

ამოცანა მოცემულია—რკინიგზელთა ჩვენმა სახელოვანმა არმიამ უნდა მოგვცეს მგზავრთა მომსახურების გარდაქმნის სანიმუშო მაგალითები. ამას ისინი შესძლებენ ხელიხელჩაკიდებული მუშაობით, ერთსულოვანი დარაზმვით, რათა საყვარელი რკინის სახკომის ბრძანება განუხრელად განახორციელონ და ადამიანის ღირსება ყველაზე მაღლა დააყენონ.

ა. ქ.

როგორ არ უნდა მოვეპყრათ თანამგრძნობს

— ირჩევა საქმე ივ. გარბაჩუკის, პრ. კუჩერისა და ივ. პროცენკოსი, რომელთაც სიმთვრალის დროს ხულიგნური მოქმედებით დაარღვიეს წესრიგი, განაცხადა ამხანაგური სასამართლოს თავმჯდომარემ რუხაძემ.

— ბრალდებული გარბაჩუკი არ ესწრება, საქმე გაირჩევა მის დაუსწრებლად. გაიმართა მსჯელობა.

... და სასამართლომ დაადგინა: ბრალდებული გარბაჩუკი ცნობილ იქნეს დამნაშავედ, აღიძრას შუამდგომლობა დირექციის წინაშე გარბაჩუკის მოხსნის შესახებ.

გარბაჩუკს გააცნეს სასამართლოს გადაწყვეტილება, მან გაოცებით იკითხა: როგორ, მე გამასამართლეს, რათა, რისთვის? კითხვაზე პასუხი ვერ მიიღო. გავიდა დრო. გარბაჩუკი ისე აღარ აქტიურობს.

ივ. გარბაჩუკი ტფილისის ავტოშემკეთებელი ქარხნის ენტუზიასტი მუშა იყო, ტყუილად კი არ უწოდებდნენ მას მამაცს, საიმედო მუშაკს. პარტიული ორგანიზაცია როდი შემცდარა, გარბაჩუკი რომ თანამგრძნობთა ჯგუფში მიიღო.

მაგრამ ახლა...

ივანე! შენ პოლიტმეცადინეობას რატომ არ ესწრები?

— არ ვესწრები და იმიტომ. — გამწყრალის კილოთი იძლევა პასუხს.

მიმაგრებულმა ამხანაგმა დაიბარა სამეცადინოდ, გარბაჩუკი არ მივიდა. და ასე გრძელდება აგერ ორი თვეა.

პარტიულმა კომიტეტმა 28 მაისს ივ. გარბაჩუკის თვითანგარიში მოისმინა. აქ გამოაშკარავდა ის მიზეზები, რომლებმაც გარბაჩუკს პარტიულ სწავლებაზე გული აუცრუეს და პარტკომმა დასახა ღონისძიებები შემდეგი მუშაობისათვის.

აი, რაში ყოფილა საქმე. გარბაჩუკის უკმაყოფილება ამხანაგური სასამართლოს უხეშმა, დაუშვებელმა მოქმედებამ გამოიწვია.

გამოირკვა, რომ გარბაჩუკს ხულიგნებთან არავითარი კავშირი არ ჰქონია, ისეთი შემთხვევა არავის ახსოვს, რომ ის მთვრალი ყოფილიყოს. ამხანაგურმა სასამართლომ კი საქმე მის დაუსწრებლად გაარჩია, ნამდვილი დამნაშავენი გაათავისუფლა და გარბაჩუკის საქმე კი სასჯელის დასადებად ადმინისტრაციის გადასცა. გარბაჩუკი უცდის ადმინისტრაციის განკარგულებას, ელის დღეს მოხსნიან თუ ხვალ. ასეთ პირობებში გარბაჩუკის ხალისი შენელდა, თუმცა წარმოებისათვის არ უღალატნია, კვლავ ენერგიულად მუშაობს, მაგრამ პარტიულ სწავლებას თითქმის სრულიად ჩამოშორდა, თანამგრძნობთა ჯგუფში აღარ დადიოდა.

პარტიულმა კომიტეტმა სცნო, რომ გარბაჩუკს დანაშაული არ მიუძღვის, განუმარტა, რომ მას სამუშაოდან ვერავინ მოხსნის და აღუდგინა მოსამართლის დაუდევრობით შერყეული ავტორიტეტი. გარბაჩუკმა კვლავ ფრთები შეისხა.

რას გვეუბნება ეს ფაქტი?

პირველი — იმას, რომ საჭიროა ფრთხილად მივუდგეთ თანამგრძნობს. სამწუხაროდ ავტოშემკეთებელი № 8 ქარხნის პარტორგანიზაციაში ზოგიერთ კომუნისტს ეს კარგად არა აქვს შეგნებული.

მეორე — იმას, რომ ამ ქარხანაში ამხანაგური სასამართლო ზოგჯერ არაფხიზლად ეპყრობა მუშაკებს. კომუნისტი თ. რუხაძე, რომელსაც პარტიულმა კომიტეტმა ეს მეტად საპასუხისმგებლო უბანი ჩააბარა, არ დგას თავისი მოწოდების სიმაღლეზე, იგი სუსტად ასრულებს ამ საზოგადოებრივ დავალებას.

მესამე — იმას, რომ პარტორგი ამხ. ლ. ვაინშტეინი თანამგრძნობებთან სუსტად მუშაობს. მან ყური არ ათხოვა გარბაჩუკის საყვედურს, არ დაინტერესებულა საქმის ნამდვილი შინაარსის გაგებით. ამის შედეგად თანამგრძნობი გარბაჩუკი დაიბნა, მან პარტჯგუფის დახმარების იმედი დაჰკარგა და თანამგრძნობთა ჯგუფიდან გამოსვლას ფიქრობდა. აი, სადამდე მივყავართ ადამიანისადმი, თანამგრძნობისადმი უსულგულო დამოკიდებულებას. პარტორგანიზატორი ყველაზე უფრო გულისხმიერი უნდა იყოს, იგი კარგად უნდა იცნობდეს თვითეულ თანამგრძნობს და უწევდეს პრაქტიკულ დახმარებას, იჩენდეს ბოლშევიკურ მზრუნველობას.

დასასრულ, ეს ფაქტი გვეუბნება იმას, რომ ზოგიერთ თანამგრძნობს თავის მოვალეობა ჯერ კიდევ არა აქვს კარგად შეგნებული, არ ესმის, რომ საჭიროა ბრძოლა ცალკეულ დამახინჯებებთან და არა მუშაობაზე გულის აცრუება. ამიტომ მას უნდა დავეხმაროთ, უნდა აღვზარდოთ ბოლშევიკურ ტრადიციებზე.

შ. ტაბატაძე.

◆

მნიშვნელოვანი ინიციატივა

საკავშირო ლენინური კომკავშირის მე-10 ყრილობის გადაწყვეტილებათა შესწავლა და პრაქტიკული განხორციელება კომკავშირის სიღნაღის ორგანიზაციაში განსაკუთრებული დაინტერესებით მიმდინარეობს. კომკავშირის რაიკომის ხელმძღვანელობით და დახმარებით ბევრმა პირველადმა ორგანიზაციამ ღირსშესანიშნავი ინიციატივა იკისრა. სამხედრო ტექნიკის შემსწავლელი წრეების მოწყობა, საპარაშუტო კოშკების აგება, საპარაშუტო სპორტის შესწავლა, ფიზკულტურული მუშაობის გაუმჯობესება, განათლებისა და კულტურის საქმის გაშლა-გაფართოება, ახალგაზრდობის და ბავშვების სწავლების, აღზრდის, დასვენებისა და გართობის მართებული ორგანიზაცია, — აი, საკითხები, რომლის მოსაწყობად ზრუნავენ ამჟამად რაიონის კომკავშირული ორგანიზაციები, ცალკე კომკავშირლები.

ერთერთი მნიშვნელოვანი ინიციატივა მე-10 ყრილობის გადაწყვეტილებათა შესწავლისა და განხორციელებასთან დაკავშირებით იკისრეს სიღნაღის სარეწაო არტელებისა და სოფ. მელიანავის კომკავშირლებმა: 7, 8 და 9 ივნისს რიცხვით 40 კომკავშირელმა და კავშირგარეშე ახალგაზრდამ მოაწყო ტფილისის რევოლუციური მუზეუმის დათვალიერება, სადაც დაწვრილებით გაეცნენ ამხ. ლ. ბერიას მოხსენების მიხედვით ამიერ-კავკასიის ბოლშევიკურ ორგანიზაციათა ისტორიას, ამხ. სტალინის, კეცხოველისა და წულუკიძის რევოლუციურ მუშაობას. შემდეგ ექსკურსანტები ეწვივნენ საკ. კ. პ. (ბ) ტფილისის კომიტეტთან ამას წინათ გახსნილ ამხ. კეცხოველის სახ. პროპაგანდისტისა და აგიტატორის სახლს. აგიტაციისა და კომკავშირული მუშაობის კაბინეტებმა ჩამოსულ ახალგაზრდებს სპეციალური ლექცია გაუმართეს პროპაგანდისა და აგიტატორის სახლის მიზნებისა და ამოცანების შესახებ, აგრეთვე თემაზე — როგორ მოვაწყოთ კომკავშირის მე-10 საკავშირო ყრილობის გადაწყვეტილებათა შესწავლა და განხორციელება.

უკანასკნელად ტფილისის ტრამვაის კომკავშირულ ორგანიზაციაში ექსკურსიის მონაწილეები ესაუბრნენ კომკავშირული კომიტეტის ხელმძღვანელს, ჯგუფორგანიზატორებს, პროპაგანდისტებს, აგიტატორებს.

შესანიშნავი გამოცდილება აქვთ ტრამვაელ კომკავშირელებს. მათ ბევრი ახალი წამოწყება აქვთ ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელების საქმეში. გამოცდილებათა გაზიარებამ ცხოველი ინტერესი გამოიწვია.

8 ივნისს დათვალიერებით კმაყოფილი ახალგაზრდები სოფლებში დაბრუნდნენ.

ვ. დ.

სპეციალისტები კანონპროექტის შესახებ

პროფ. ივ. თიკანაძე

ჩემი აზრით, აბორტი დაშვებულ უნდა იქნას განსაკუთრებულ, [illegible] შემთხვევებში, როცა მშობიარის ჯანმრთელობის მდგომარეობა ამას აუცილებლად მოითხოვს. ამისათვის საჭირო იქნება ექიმ-სპეციალისტთა კომისიის დასკვნა. აბორტს ვერ ავკრძალავთ იმ შემთხვევაშიც, როცა ახალგაზრდა ქალი მოტყუებული ან გაუპატიურებული დარჩება. ამ შემთხვევისათვის საჭირო იქნება ახალ კანონში სპეციალური მუხლის გათვალისწინება, რომლის მიხედვითაც დაისჯება ყველა მოქალაქე, რომელიც სქესობრივი ღლვირახსნილობის ნიადაგზე შეაცდენს ქალიშვილს.

ჩემი შეხედულებით, აბორტის ხელაღებით აკრძალვაზე არ შეიძლება ლაპარაკი, რადგანაც ამან შეიძლება გამოიწვიოს აბორტის სარდაფებში, აბორტმახერებისა და ექიმბაშ-ბებიების ხელში გადატანა.

აბორტის ლეგალიზაციის შედეგად ჩვენ დიდი [illegible] წარმატება მოვიპოვეთ, [illegible] აბორტის რაოდენობა არ შეგვიმცირებია. თუ 1925 წელს „შინაურული" წესით გაკეთებული აბორტების რაოდენობა (ჩვენს ინსტიტუტში მოსულთა მიხედვით) 430-ს უდრიდა, ხოლო ინსტიტუტში გაკეთებული აბორტების რიცხვი მხოლოდ 101 იყო, 1935 წელს ხელოვნური აბორტი 205-მდე დავიდა, ხოლო ინსტიტუტში სპეციალისტებმა 730 აბორტი გააკეთეს.

მე ძალიან მცირედ მიმაჩნია განქორწინებათა რეგისტრაციისათვის გადასახდელი. უფრო კარგი იქნებოდა პირველი განქორწინებისათვის დაგვეწესებინა ერთი თვის ხელფასი და ასე შემდეგ.

საერთოდ პროექტმა ჩემზე დიდი შთაბეჭდილება დასტოვა, მით უმეტეს, რომ მე ამის მომხრე დიდი ხანია ვარ.

დოც. გ. ცაგარელი

კანონპროექტი უეჭველად დროული და მისასალმებელია. ახლა ჩვენს ბედნიერ ხალხს გამრავლებისა როდი ეშინია. სტახანოვურ ქვეყანაში, სადაც პროდუქტების სიუხვე გვაქვს, სადაც ცხოვრება საამურია, სადაც ადამიანი ყველა კაპიტალზე უფრო ძვირფასია, ადამიანის გაჩენა ყველაფერზე უფრო სასიხარულო უნდა იყოს.

ახალი კანონი, რომ უმტკივნეულოდ გატარდეს საჭირო იქნება კანონში გავითვალისწინოთ ორსული ქალებისათვის სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების აგება.

ჩვენი ინსტიტუტი მოწოდებულია დახმარება აღმოუჩინოს მშობიარეებს ამისათვის ჩვენ გვაქვს 180-მდის საწოლი. ეს მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებს. ყოველდღე 8-10 მშობიარეს საავადმყოფოში მოთავსებაზე უარს ვეუბნებით უადგილობის გამო. ჩვენ გვაქვს ძალიან კარგი შენობა, საუკეთესო ლაბორატორიები, მექანიკური სამრეცხაო, სამზარეულო და სხვა დამხმარე მოწყობილობანი. ასე რომ, თუ ბიუჯეტი გვექნება, შესაძლებელია საწოლების რიცხვი 250-მდე ავიყვანოთ. აგრეთვე ტფილისისათვის საკმარისი არ არის არსებული სამეანო-გინეკოლოგიურ საწოლთა რიცხვი (500-მდეა). საჭიროა საწოლების გადიდებისათვის აქედანვე ვიზრუნოთ.

დოც. ა. ედიბერიძე

აბორტისა და მშობიარეთა დახმარების შესახებ გამოცემული კანონპროექტის ირგვლივ გამოთქმულ მშრომელი მასებისა და სპეციალისტების წინადადებებს შორის ბევრს გარკვეული პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს.

მეც, როგორც სპეციალისტსა და კლინიცისტს სურვილი მაქვს გამოვეხმაურო გულითადად ამ კანონპროექტს და შევაჩერო ყურადღება ერთ გარემოებაზე. ორსული და მშობიარე ქალის ჯანმრთელობა, როგორც ცნობილია, დამოკიდებულია იმ სანიტარულ-ჰიგიენურ პირობებზე, რომლებშიაც მას უხდება ცხოვრება და რომლებსაც თვითონ ატარებს თავის სხეულში. ამ მხრივ საყურადღებოა ორსული ქალების პირის ღრუსი და კბილების ჰიგიენის საკითხიც, რომელთანაც მჭიდროდ არის დაკავშირებული პირის ღრუს სანაცია (გაჯანსაღება). ჩვენ კარგად ვიცით, თუ რამდენად გამრავლდა საკონსულტაციო წერტილები და კანონპროექტის მიერ რამდენად უფრო საგრძნობლად გაფართოვდება იგი. მაგრამ დღემდის ხსენებულ კონსულტაციებში, სამწუხაროდ, არათუ არ ხდება, როგორც წესი, ორსული ქალის პირის ღრუსი და კბილების გაჯანსაღება, არამედ ეს საკითხი უყურადღებოდ არის მიტოვებული. დიდი ხანია უკუგდებულია ძველი შეხედულება, თითქოს არ შეიძლებოდეს ორსულთა კბილებისა და ღრძილების მკურნალობა (დაპლომბვა, რომელიც ამჟამად უმტკივნელად ტარდება, დამპალი ფესვებისა და კბილების მოცილება, ჩირქმდენი და ანთებიანი ღრძილების მკურნალობა და სხვადასხვა). პირიქით, **ჯანმრთელი პირის ღრუ ორსული ქალისათვის საერთო ჯანმრთელობის საწინდარია!**

მე, როგორც სტომატოლოგიური კლინიკის დირექტორი, მოწმე ვარ იმისა, თუ რამდენად ხშირად გვიხდება კლინიკაში სხვადასხვა ქირურგიული დახმარების აღმოჩენა ორსული ქალებისათვის, რომლებსაც დაავადებული კბილებისა და ღრძილების განუკურნებლობის გამო ჰქონიათ სხვადასხვა მძიმე გართულებანი: ჩირქგროვები ფლეგმონები, ჰაიმორიტები, სეპსისები (სისხლის მოწამვლა) და სხვა. აღსანიშნავია ის გარემოებაც, (რასაც დიდ ყურადღებას არ აქცევენ), რომ მშობიარობისა და ლოგინობის ხანაში განვითარებული სეპსისის მიზეზი შეიძლება იყოს დამყაყებული კბილები და ფესვები, ღრძილებიდან ჩირქდენა, ანთებანი და სხვ.

ამიტომ პირის ღრუს და კბილების სანაციის საკითხი ფრიად მნიშვნელოვანი და დროული საკითხია.

აუცილებელ საჭიროებად მიმაჩნია, რათა არსებულ კონსულტაციებში ორსული ქალის პირის ღრუ, როგორც წესი, უეჭველად გასინჯულ და შესწავლილ იქნას ხოლმე სპეციალისტ ექიმ-სტომატოლოგის მიერ და შემდეგ თანდათანობით გაჯანსაღდეს. არცერთი ინფექციური კერა ორსული ქალის პირის ღრუში!



ვ. გ. ბელინსკი

1811 13/VI 1936

(დაბადებიდან 125 წლისთავის გამო).

ვალ. მგალობლიშვილი

„ბობოქარი ბესარიონი"

I.

> В те дни, как все коснело на Руси,
> Дремя и раболепствуя позорно,
> Твой ум кипел,—и новые стези
> Прокладывал, работая упорно.
>
> ნ. ნეკრასოვი.

[illegible]

2.

[illegible]

3.

[illegible]

4.

[illegible]

> Он честно истине служил,
> Он духом был смелей и чище,
> Зато и раньше проложил
> Себе дорогу на кладбище...

[illegible]

ივ. ფრანკოს თეატრის კოლექტივი ქართველ მწერლებთან

11 ივნისს საქ. საბჭოთა მწერლების კავშირის დრამატურგთა სექციის თაოსნობით მწერალთა სასახლეში მოეწყო ივ. ფრანკოს სახელობის თეატრის კოლექტივის შეხვედრა ქართველ დრამატურგებსა და მწერალთა აქტივთან.

თათბირი შესავალი სიტყვით გახსნა დრამსექციის თავმჯდომარემ ორდენოსანმა პოეტმა ალიო მაშაშვილმა.

სიტყვებით გამოვიდნენ საქ. საბჭოთა მწერლების კავშირის მდივანი ამხ. ბ. ჟღენტი, დრამატურგები ამხ. გ. ბააზოვი და გ. ხუხაშვილი, ორდენოსანი მწერალი მ. ჯავახიშვილი და სხვები, რომელთაც აღნიშნეს ივ. ფრანკოს სახელობის თეატრის ტფილისში ჩამოსვლის უდიდესი პოლიტიკური და კულტურული მნიშვნელობა. მათ ხაზი გაუსვეს უკრაინისა და საქართველოს მშრომელი ხალხის კულტურული მიღწევების ურთიერთგაზიარების კიდევ უფრო მეტად გაძლიერებისა და გაღრმავების აუცილებლობას, ამ მიმართულებით დაწყებული საქმის შეუფერხებლივ განგრძობას, მოპოვებული მიღწევების შენარჩუნებას და განმტკიცებას.

— ამ მიმართულებით ჩვენ, ქართველები შედარებით უფრო ნაკლებს ვაკეთებთ, ვიდრე უკრაინელები, — განაცხადა ამხ. მ. ჯავახიშვილმა, — უკრაინაში გაცილებით მეტი გამოდის ქართული ლიტერატურის საუკეთესო მიღწევების თარგმანები, საქართველოში ხშირად მოდიან უკრაინის საუკეთესო მწერლები, თეატრის კოლექტივები, ტფილისში მოეწყო უკრაინის კულტურის დეკადა, იყვნენ სამეცნიერო მუშაკების დელეგაციები და სხვა; მაგრამ არც ჩვენ ვფიქრობთ ხანგრძლივად დავრჩეთ მოძმე რესპუბლიკის მშრომელთა „ვალში". უკრაინის მწერალთა კავშირის მოწვევით შემოდგომაზე ქართველი მწერლების ბრიგადა მიემგზავრება კიევში. ჩვენ ვამზადებთ შევჩენკოს სრულ ქართულ თარგმანს. ახლახან დამთავრდა ა.-კ. სამედიცინო დეკადა უკრაინაში, კავშირი, რომელიც ამ დეკადის დროს დამყარდა, თანდათან უფრო ფართო და ღრმა ხასიათს მიიღებს. ხალხთა ასეთი თანამშრომლობა ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის ბრწყინვალე გამარჯვებაა.

საპასუხო სიტყვით გამოვიდნენ ივ. ფრანკოს თეატრის ხელმძღვანელი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი, ორდენოსანი რეჟისორი გნატ იურა, რესპუბლიკის სახალხო არტისტი ბორისოგლებსკაია, თეატრის ლიტერატურული განყოფილების ხელმძღვანელი პოეტი საჩენკო და რესპუბლიკის დამსახურებული მსახიობი ვატულია.

— ჩვენ მოხარული ვართ, რომ ვიმყოფებით მზიურ საქართველოში, განაცხადა ამხ. გნატ იურამ,—მე უპირველესად მადლობას გიძღვნით ამხანაგური, გულთბილი მიღებისათვის თქვენ, საქართველოს კულტურის საუკეთესო წარმომადგენლებს, ქართველ საბჭოთა მწერლებს, საქართველოს პარტიისა და ხელისუფლების ხელმძღვანელებმა, უკრაინის თეატრს ყოველგვარი პირობა შეუქმნეს ნაყოფიერი მუშაობისათვის ტფილისში, ჩვენ მადლობას ვუხდით ა.-კ. ბოლშევიკების მამაც ხელმძღვანელს ამხ. ლ. ბერიას.

თუ თქვენ უკრაინელ და ქართველ მწერლებს მოგვეპოვებათ ურთიერთთანამშრომლობის თვალსაჩინო დადებითი გამოცდილება, ამას ვერ ვიტყვით თეატრებზე, კერძოდ ჩვენს თეატრზე, რომელსაც დღემდე არ დაუდგამს არც ერთი ქართული პიესა, მაგრამ ჩვენ ამ მდგომარეობას უახლოეს ხანში გამოვასწორებთ, ტფილისში ყოფნის დროს ჩვენ შევარჩევთ რამდენიმე ქართულ პიესას და მათი დადგმა მომავალ წელს უეჭველად განხორციელებული იქნება. ჩვენ შევძლებთ, რომ ქართველი დრამატურგების ნაწარმოებები იდგმებოდეს უკრაინის სხვა თეატრებშიც. ეს იქნება კიდევ ერთი ახალი ნაბიჯი ჩვენი ქვეყნის მშრომელთა კულტურული თანამშრომლობის გზაზე. ამხ. გნატ იურას ამ განცხადებას დამსწრეები ტაშით შეხვდნენ.

პოეტმა საჩენკომ კრებას გააცნო, რომ მიმდინარე წელს უკრაინაში იცემა მთელი რიგი ქართველი თანამედროვე მწერლები და კლასიკოსები. უდიდესი მუშაობა გასწია პოეტმა მიკოლა ბაჟანმა, რომელიც მუშაობს „ვეფხის-ტყაოსნის" თარგმანზე. მ. ბაჟანს მოუხდა მთელი უკრაინული ლექსიკონის მოშველიება პოემის სრულქმნილად თარგმნისათვის. ამ უდიდესად მნიშვნელოვანმა მუშაობამ გარკვეული დადებითი როლი შეასრულა უკრაინის სალიტერატურო ენის გამდიდრებისა და ამაღლების საქმეში.

შეხვედრა დამთავრდა ამხ. ა. მაშაშვილის საბოლოო სიტყვით.

◇ ◇ ◇

ორი გზის შეჯიბრება

11 ივნისს საღამოს, მარჯანიშვილის სახელობის თეატრში თავი მოიყარეს ჩრდილო-კავკასიისა და ამიერ-კავკასიის რკინიგზების საუკეთესო, წარჩინებულმა ადამიანებმა. დარბაზი სავსეა მოწინავე ტრანსპორტელებით, რომელთა გულმკერდს ამშვენებს საბჭოთა კავშირის ორდენები, საპატიო რკინიგზელისა და სტალინური გაწვევის დამკვრელის ნიშნები. ისინი მოსულან აქ, რათა საზეიმოდ ხელი მოაწერონ ორი ხსენებული გზის სოცშეჯიბრების ხელშეკრულებას.

თეატრიც საზეიმოდ არის მორთული ამ მნიშვნელოვანი მოვლენის აღსანიშნავად.

კრება გახსნა ა.-კ. რკინიგზის პოლიტგანყოფილების უფროსმა ამხ. პავერმანმა.

აირჩიეს საპატიო და საქმიანი პრეზიდიუმი. საპატიო პრეზიდიუმში ამხანაგ სტალინის არჩევას დამსწრენი ფეხზე ადგომითა და მქუხარე ოვაციებით ხვდებიან.

ა.-კ. რკინიგზის საორთქლმავლო დარგის უფროსი ამხ. კუჩანსკი კითხულობს სოცხელშეკრულების ტექსტს. ხელშეკრულება ითვალისწინებს ტრანსპორტის მუშაობის ყველა საკითხს, როგორც საწარმოო, ისე კულტურულ-საყოფაცხოვრებო დარგში, რომელთა მაღალსაფეხურზე აყვანისათვის უნდა იბრძოლოს ორმა გზამ.

შეჯიბრების ჟიურის წევრებად გზები ასახელებენ: გზათა სახ. კომისარიატს, რკინიგზელთა ც. კ.-ს და გაზ. „გუდოკის" რედაქციას.

სიტყვებით გამოდიან: ჩრდილო-კავკასიის რკინიგზის ორდენოსანი უფროსი ამხ. მაევსკი, ა.-კ. გზის ორდენოსანი უფროსი ამხ. როზენცვეიგი, გროზნოს დეპოს ორდენოსანი მემანქანე ამხ. ჟუკოვი, ტფილისის დეპოს ორდენოსანი მემანქანე ამხ. წიკლაური, დარუბანდელი მზეთავი ორდენოსანი ამხ. ხაფაროვი და ა.-კ. რკინიგზის ლენინაკანის საექსპლოატაციო განყოფილების უფროსი დისპეტჩერი, ორდენოსანი ამხ. დილანიანი. გამოსული ამხანაგები სიხარულით შეხვდნენ ორი გზის ხელშეკრულების დადებას და მოუწოდეს ორსავე მხარეს მუშაობის უფრო გაძლიერებისაკენ.

შემდეგ ამხ. პავერმანი ასახელებს იმ ამხანაგებს, რომელთაც მინდობილი აქვთ ხელშეკრულებაზე ხელის მოწერა. პირველნი ხელშეკრულებას ხელს აწერენ გზის უფროსები ამხ. როზენცვეიგი და მაევსკი, მათ შემდეგ ორივე გზის ოც-ოცდაათი ორდენოსანი. ხელმოწერის დროს გაისმის მქუხარე ტაში, „ვაშას" ძახილი და მუსიკის გრიალი.

ამხ. პავერმანი ამბობს საბოლოო სიტყვას. ის ერთხელ კიდევ მოუწოდებს ამხანაგებს იბრძოლონ შეჯიბრებაში მაღალი მაჩვენებლების მიღწევისათვის. მან განაცხადა, რომ ა.-კ. რკინიგზა სოცშეჯიბრების ხელშეკრულების დადებას ხვდება ნახევარი წლის ტვირთზიდვის გეგმის 20 დღით ადრე შესრულებით.

ამ ცნობას დამსწრენი ოვაციებით ხვდებიან.

ამხ. პავერმანი განაგრძობს: „ჩვენ პირობას ვიძლევით, რომ ივნისის დამლევამდე ზედმეტად დავტვირთავთ 50 ათას ვაგონს". კვლავ მქუხარე ტაში და „ვაშას" ძახილი.

ხელშეკრულება ხელმოწერილია, კრება იხურება, მუსიკა „ინტერნაციონალს" ჰიმნს ასრულებს.

მიღების პირობები

საქართ. ამხ. სტალინის სახ. სას.-სამ. უმაღ. კომუნისტურ სკოლაში 1936 წელს

საქარ. ამხ. სტალინის სახ. სას.-სამ. უმაღლესი კომუნისტური სკოლა ძირითად ამოცანად ისახავს ისეთ კვალიფიკაციურ ხელმძღვანელ მუშაკ ორგანიზატორთა მომზადებას საბჭოთა მეურნეობების, მტს-ების, კოლმეურნეობების და რაიონის პარტ. და საბჭოთა ორგანიზაციებისათვის, რომლებიც გარდა ფართო პოლიტიკური განვითარებისა, შეიარაღებული იქნებიან საჭირო სპეციალური ცოდნით სოფლის მეურნეობის ტექნიკის, აგრონომიის და მესაქონლეობის დარგში.

1936 წელს სკოლა აწარმოებს მიღებას:

1. **ორწლიან განყოფილებაზე**, რომელიც ამზადებს ხელმძღვანელ მუშაკებს მემცენარეობის და მეცხოველეობის დარგში მტს.-ების საბჭოთა მეურნეობების და კოლმეურნეობებისათვის (მტს-ების დირექტორები და მათი მოადგილეები, განყოფილებების და ფერმების გამგეები კოლმეურნეობების მეცხოველეობის ფერმების გამგეები და სხვა).

ამ განყოფილებაზე მიიღებიან საქ. კ.პ. (ბ) წევრები, კომკავშირლები ორი წლის სტაჟით და ჩვეულებრივ უპარტიო კოლმეურნენი, რომლებსაც აქვთ არა ნაკლებ ორი წლის პრაქტიკული მუშაობის სტაჟი კოლმეურნეობებში, მტს-ებში და საბჭოთა მეურნეობებში (კოლმეურნეობის თავმჯდომარეები, გამგეობის წევრები და ბრიგადირები, მტს-ების დირექტორები და მოადგილეები, საბჭოთა მეურნეობის დარგების გამგეები და სხვა) 18 წლიდან 40 წლის ასაკამდე. შემომსვლელებს უნდა ჰქონდეთ ცოდნა ზოგად განათლების დარგში პირველი საფეხურის სკოლის მოცულობით (5 კლასი) და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ დარგში პირველი საფეხურის საბჭოთა პარტიული სკოლის მოცულობით.

2. **სამწლიან განყოფილებაზე**, რომელიც ამზადებს ხელმძღვანელ პარტიულ და საბჭოთა მუშაკებს რაიონულ კომიტეტების, რაიაღმასკომების, მსხვილი პარტკომებისა და სოფლის საბჭოებისათვის:

ამ განყოფილებაზე მიიღებიან საქ. კ. პ. (ბ) წევრები არა ნაკლებ ორი წლის პარტსტაჟით და ძირეული პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელი მუშაობის ორი წლის სტაჟით (რაიონულ კომიტეტების მდივნები, რაიაღმასკომების თავმჯდომარეები, რაიკომების და რაიაღმასკომების განყოფილებების გამგეები, ინსტრუქტორები და სხვა) 20 წლიდან 40 წლ. ასაკამდე და რომელთაც აქვთ საზოგადო პოლიტიკური მომზადება მეორე საფეხურის საბჭოთა პარტიულ სკოლის მოცულობით და ზოგადი განათლება 7 კლასის მოცულობით.

3. სკოლასთან მოწყობილ მოსამზადებელ კურსებზე მიღებული იქნებიან სამანდატო კომისიის შეხედულების მიხედვით ის ამხანაგები, რომლებიც სავსებით აკმაყოფილებენ საჯმუკში შემოსვლის ყველა პირობას, მაგრამ ამავე დროს საჭიროებენ ზოგიერთ საგნებში ცოდნის უფრო გაღრმავებას რათა შემდეგში შეძლონ სწავლის გამართულად მეცადინეობა.

4. საჯმუკში, როგორც ძირითად, ისე მოსამზადებელ განყოფილებაზე მეცადინეობა სწარმოებს ქართულ ენაზე.

5. საჯმუკში შემომსვლელნი სპეციალურ კომისიებში ჩააბარებენ მისაღებ გამოცდებს შემდეგ საგნებში: საქ. კ.პ. (ბ) ისტორია, ქართული და რუსული ენები, და მათემატიკა.

6. საჯმუკში მიიღებიან მხოლოდ ჯანსაღი ამხანაგები. არავითარ შემთხვევაში არ მიიღებიან ისინი, ვისაც საჯმუკის საექიმო კომისია სცნობს ფიზიკურად ნაკლულად, დაავადებულად: სისხლნაკლებობით, ტუბერკულოზით, გადამდები სნეულებით, კუჭნაწლავებისა და ქრონიკული ავადმყოფობით, სერიოზული გინეკოლოგიური ავადმყოფობით და ის პირები, რომლებიც სამხედრო სამსახურისთვის ცნობილი არიან უვარგისად.

7. საჯმუკისათვის საუკეთესო კანდიდატების შერჩევის მიზნით საქ. კ.პ. (ბ) ცენტრ. კომიტეტთან არსდება სამანდატო კომისია.

8. ამხანაგებმა, რომლებსაც სურთ შემოსვლა საჯმუკში, შეიტანონ განცხადება ადგილობრივ რაიკომში, მხოლოდ ტფილისში მუშაო მსურველებმა ტფილისის კომიტეტში, შემდეგი საბუთების დართვით: ანკეტას მიიღებენ ოლქკომებში და რაიკომებში საკუთარი ხელით შევსებული და შემოწმებული რაიკომის მიერ, ავტობიოგრაფია, დახასიათება საწ.-ბრიგ. და საწარმოო მუშაობის შესახებ, ცნობა განათლების, ჯანმრთელობის, წარსული და მიმდინარე მუშაობის შესახებ, სამხედრო მოწმობის ასლი და ორი შემოწმებული ფოტოსურათი.

9. 1914 წელს დაბადებულნი სკოლაში არ მიიღებიან.

10. რაიკომებს თანახმად ც. კ. დადგენილებისა, ევალებათ კანდიდატების შერჩევა საჯმუკში გასაგზავნად განრიგის მიხედვით.

11. შერჩეულ კანდიდატებს ამტკიცებენ რაიკომები და ყველა მასალას მათ შესახებ გზავნიან საჯმუკის სამანდატო კომისიის სახელზე (ტფილისი, ტრიბუნალის ქ. № 32) არა უგვიანეს 10 ივლისისა.

შენიშვნა: რაიკომებს ევალებათ მტკიცედ დაიცვან გამოცხადებული განრიგი. განრიგს ზევით მოვლინებული ამხანაგების საბუთები სამანდატო კომისიის მიერ განხილული არ იქნება.

12. რაიონებზე განრიგით მოცემული ადგილების რიცხვი არ ნიშნავს იმას, რომ სკოლაში მიღებული იქნებიან ამხანაგები ამავე რაოდენობით. განრიგით კანდიდატების რიცხვი გაცილებით მეტია მოცემული, ვიდრე მისაღები კონტინგენტი. ამისათვის რაიონების მიერ მოვლინებულ კანდიდატებისაგან შერჩეული იქნებიან ის ამხანაგები, რომლებიც უკეთესად დააკმაყოფილებენ სკოლაში მიღების პირობებს.

13. საჯმუკში მიღებულთა ოჯახებს ადგილობრივად ეძლევათ საცხოვრებელი ბინის ფართობი.

14 საჯმუკში მივლინებულ ამხანაგებს ადგილობრივი ორგანიზაციები უზრუნველყოფენ დღიურებით და სამგზავრო ხარჯებით ორივე მიმართულებით.

15. საჯმუკში ყველა მიღებული ამხანაგი უზრუნველყოფილი იქნება სტიპენდიით 250 მან. რაოდენობით და საერთო საცხოვრებლით და კვებით ნაღდ ანგარიშზე.

16. რაიკომების მიერ შერჩეული და დამტკიცებული კანდიდატები მისაღებ გამოცდების ჩასაბარებლად უნდა გამოცხადდნენ საჯმუკში (ტფილისი, ტრიბუნალის ქ. № 32) 20 აგვისტოს. მათ აუცილებლად თან უნდა ჰქონდეთ ხელზე პასპორტი, წინააღმდეგ შემთხვევაში გამოცდებზე და საერთო საცხოვრებელში არ იქნებიან დაშვებული.

17. სკოლაში მივლინებული ამხანაგები გაივლიან საექიმო და სამანდატო კომისიებს და საკონკურსო მისაღებ გამოცდებს. საკონკურსო გამოცდების, სამანდატო და საექიმო კომისიის შედეგების შემდეგ საჯმუკის რექტორი საბოლოოდ სწყვეტს კანდიდატების სკოლაში მიღების ან უკან დაბრუნების საკითხს.

18. პირველი კურსის სტუდენტები, რომლებსაც ავადმყოფობისა და სხვა მიზეზების გამო მიეცათ ერთი წლის აკადემიური შვებულება, მოვლინებული იქნებიან საერთო წესის მიხედვით, ე. ი. უნდა წარმოადგინონ ხელახლად რაიკომის მოვლინების საბუთი და ცნობა უკანასკნელი მუშაობის შესახებ.

19. მეცადინეობა ძირითად განყოფილებაში დაიწყება 1937 წლის 13 იანვარს, ხოლო მოსამზადებელ კურსებზე ა.-წ. 1-ლ სექტემბერს.

განრიგი:

ორწლიანი განყოფილება:

1. საქ. კ.პ. (ბ) ც. კ.	6 ადგ.
2. საქ. კ. პ. (ბ) ტ. კ.	4 „
3. აჭარ. საოლქო კომიტ.	4 „
4. სამხ.-ოს. საოლქო კომიტ.	3 „
5. აფხაზ. საოლქო კომიტ.	4 „
6. 1-ქარ. დივ. პ.-გ.	3 „
7. 2-ქარ. დივ. პ.-გ.	3 „

8. გორის, სიღნაღის, ზ.-სვანეთის და დუშეთის რაიკომებს ხუთ-ხუთი ადგილი.
9. დანარჩენ რაიკომებს. ოთხ-ოთხი ადგილი.

სამ წლიანი განყოფილება:

1. საქ. კ.პ. (ბ) ც.კ.	5 ადგ.
2. საქ. კ პ. (ბ) ტ. კ.	5 „
3. აჭარ. საოლქო კომიტ.	4 „
4. სამხ.-ოს. საოლქო კომ.	3 „
5. აფხაზ. საოლქო კომ.	4 „
6. 1-ქართ. დივ. პ.-გ.	2 „
7. 2-ქართ. დივ. პ.-გ.	2 „

8. გორის, ზუგდიდის, ქუთაისის, ფოთის, თელავის, სამტრედიის, ჭიათურის და ტყიბულის რაიკომებს ოთხ-ოთხი ადგილი.
9. დანარჩენ რაიკომებს. ორ-ორი ადგილი.

საქ. კ.პ. (ბ) ც. კ. სასკოლო გან. გამგე: რ. მელაძე

საჯმუკის რექტორი: ა. ერქომაიშვილი

სპექტაკლი საბჭოთა პატრიოტიზმზე

„შორეული" მარჯანიშვილის თეატრში. (მარცხნიდან მარჯვნივ): რესპუბ. დამსახურებული მსახიობი შ. ღამბაშიძე (მატვეი მალკო), რესპ. დამსახ. მსახიობი ვ. ანჯაფარიძე (კომკავშირელი ჟენია) და მსახიობი ვ. გოძიაშვილი (ვლას ლონსკიხი).

ვრცელია და მრავალფეროვანი ჩვენი ქვეყანა. დიდი ინდუსტრიული ქალაქებით და გიგანტური საბჭოთა მეურნეობებითა თუ კოლმეურნეობებით არის იგი მოფენილი. პაწია, შორეული, განახლებული სოფლებით, ახლადდაბადებული ქალაქებით, რკინიგზის შორეული სადგურებითაც არის იგი მდიდარი. მაგრამ ყველგან, მის ყოველ კუთხეში, სადაც არ უნდა იყოთ, წითელი მოსკოვის ახლოს, თუ მისგან მოშორებით, აულებსა თუ შორეულ ტაიგაში, — თქვენ ყველგან იგრძნობთ: საბჭოთა ადამიანები სოციალიზმის მძლავრი მაჯისცემით ცოცხლობენ, მათ [illegible], თავიანთ ყოველდღიურ მუშაობას მჭიდროდ უკავშირებენ საკუთარი ქვეყნის ბედიღბალს, მის წინსვლას, მის აყვავებას.

ჩვენი სამშობლო მიწაწყლის ყოველ კუნჭულში ცოცხლობს საბჭოთა პატრიოტიზმის ცხოველი სული. და იმ მომენტშიაც კი, როცა საბჭოთა ქვეყნის ღირსეულმა შვილებმა იციან, რომ რამე მიზეზით მათ სიკვდილი მოელით, ისინი უკან არ იხევენ, სულით არ ეცემიან, სასოწარკვეთილებას არ ეძლევიან. პირიქით: ისინი კიდევ უფრო იკრებენ ენერგიას, უფრო მეტის სიყვარულითა და გატაცებით ემსახურებიან ქვეყანას და ხალხს, სურთ რაც შეიძლება მეტი მოასწრონ და გააკეთონ. მათ, ბოლშევიკებს, საბჭოთა პატრიოტებს სიკვდილისა არ ეშინიათ, ისინი სიკვდილსაც ებრძვიან, რომ ბედნიერი და სამუდამო სიცოცხლე გააგრძელონ თავიანთი ქვეყნის სასარგებლოდ და სასიხარულოდ.

ასეთია აფინოგენოვის ახალი პიესის „შორეულის" ლეიტმოტივი, თემა მეტისმეტად საინტერესო და ახალია საბჭოთა დრამატურგიისათვის. და დრამატურგის ღირსებაც სწორედ ის არის, რომ მან სწორად გადაჭრა ეს საინტერესო საკითხი, უბრალო, რიგითი საბჭოთა ადამიანების ცხოვრებისა და შრომის ფონზე — ერთი დღის ხარკეში — გვიჩვენა საბჭოთა პატრიოტიზმის, სამშობლოსა და სიცოცხლისადმი სიყვარულის ცხოველმყოფელი ძალა.

— ჩვენ სამშობლო გვიყვარს და სიცოცხლეც მისთვის გვსურს. ჩვენ სიცოცხლე გვიყვარს, მაგრამ სიკვდილისა არ გვეშინია—აი პიესის დედააზრი.

დრამატურგმა მოქმედება გაშალა შორეული ტაიგის ერთ-ერთ პაწია სადგურზე. ვლადივოსტოკიდან მოსკოვს მიმავალი, აღმოსავლეთის განსაკუთრებული არმიის კორპუსის მეთაური მატვეი მალკო ვაგონის დაზიანების გამო დროებით ჩერდება სადგურ „შორეულში". ამ პაწია სადგურშიაც არიან მშვენიერი ადამიანები, ჩვენი ქვეყნისა და საქმის პატრიოტები. მატვეი მათ ეცნობა, მათთან ერთად ატარებს დღეს, მათთან ერთად აუენებს ქვეყნის მეურნეობის შექმნისა და ტაიგის მდინარეებში ოქროს საბადოს ძიების საქმეს. იგი სიცოცხლის სიხარულით და საქმის სიყვარულით არის სავსე, მიუხედავად იმისა, რომ იცის: უკურნებელი სენი სამი თვის შემდეგ მოუღებს ბოლოს.

მაგრამ ეს სიცოცხლის კიდევ უფრო მეტი სიყვარულით ავსებს მას, კიდევ უფრო მეტის მონდომებითა და ენერგიით აიარაღებს. აქ, ამ პაწია შორეულ სადგურში მჟღავნდება სამშობლოს, ხალხის, საქმის სიყვარულის ის მჭიდრო, ინტიმური ძაფები, რომლებიც გაბმულია საბჭოთა ქვეყნის შვილებს შორის, ძაფები, რომლებიც მათ ერთმანეთთან აკავშირებს წყნარ ოკეანიდან ვიდრე შავ ზღვამდე.

— მატვეი ილიჩ, წამიყვანე მოსკოვში და ჩემი სისხლი გადაისხით—ეუბნება კორპუსის მეთაურს კომკავშირელი გოგონა ჟენია, რომელმაც იცის, რომ ეს საყვარელი ადამიანი სამ თვეში უნდა მოკვდეს.

— ეს ოქრო ტაიგაში შევაგროვე. წაიღეთ, თქვენს ჯანმრთელობას მოახმარეთ, თქვენ ჩვენთვის საჭირო ხართ—მიმართავს მას ჟენიას დედა, ლიუბოვ სემიონოვნა, სადგურის უფროსის ცოლი.

— ეს მე გავაკეთე, რადიო მომლები... ისეთი, რომ კოლმეურნეებსა და წითელ არმიას გამოადგეს—უყვება სარდალს ტელეგრაფისტი გენადი მირონიჩი.

და ყველა ამ სიტყვაში, თვითეული ადამიანის თვალებში მოსჩანს უსაზღვრო სიყვარული: ყველაფერი მოახმარონ ჩვენს აყვავებულ საბჭოთა ქვეყანას, მის ხალხს, მის რჩეულ შვილებს. აი აქ არის საბჭოთა პატრიოტიზმის ურყევი ძალა, რომლითაც ცოცხლობს მთელი ჩვენი დიდი ქვეყანა.

უდიდესი ლირიული სითბოთი და სიყვარულით არიან გამთბარი პიესის გმირები, უბრალო, სიცოცხლით სავსე, საქმის მოყვარული, ენერგიული ადამიანები. ეს სითბო და სიყვარული იგრძნო მაყურებელმა მარჯანიშვილის თეატრში, რომელმაც მოახერხა დიდი სისადავით და ბუნებრივად წარმოედგინა ეს ღრმა ფსიქოლოგიური დრამა.

რეჟისორი, რესპუბლიკის დამსახურებული მსახიობი დოდო ანთაძე მთელ დადგმას ანვითარებს რეალისტურ ხაზებზე, სცენებისა და მიზანსცენების, დიალოგებისა და სახეების სადა, ღრმად მოფიქრებული და დამაჯერებელი დამუშავებით. მაყურებელი გრძნობს იმ დიდ ოპტიმიზმს, რომლითაც გაჟღენთილია მთელი სპექტაკლი, სიცოცხლის იმ მჩქეფარებას, რომლითაც სავსეა მისი ყოველი სცენა და გმირები, გრძნობს თვითეულ დეტალს, ყოველ სიტყვას, რომელშიაც მეტყველებს საბჭოთა პატრიოტიზმის ცხოველი ძალა, რისთვისაც რეჟისორს განსაკუთრებით გაუსვია ხაზი.

მაყურებლის უსაზღვრო სიყვარულს იმსახურებს მატვეი ილიჩი (რესპუბლიკის დამსახურებული მსახიობი შ. ღამბაშიძე), გატეხილი ნებისყოფის, ცხოველმყოფელი, მჩქეფარე ენერგიის, სიცოცხლის სიყვარულით სავსე ადამიანი, რომელიც სიკვდილს თვალებში შესცქერის, მაგრამ არ უშინდება. ამ რთულ როლში მსახიობმა ბოლომდე განუხრელად შეინარჩუნა ხასიათის სიმტკიცე და ის უბრალოება, რითაც ხასიათდება ყოველი ნამდვილი გმირი, ყოველი ბოლშევიკი—მეთაური. ამ მეტად საყვარელი ადამიანის სახე მსახიობმა წარმოგვიდგინა სრულყოფილად და დამაჯერებლად. კორპუსის მეთაური ბოლშევიკი, საქმის ერთგული, სიცოცხლით სავსე, თავდაბალი და უბრალო, მტკიცე ხასიათის ადამიანი—აი როგორია ღამბაშიძის მატვეი ილიჩი, რომელიც მაყურებლის უსაზღვრო სიყვარულს იმსახურებს.

დანარჩენ ნიჭიერ შემსრულებელთაგან უნდა გამოვარჩიოთ ვასო გოძიაშვილის იშვიათად მოხდენილი, მოფიქრებული თამაში ვლას ტონსკის როლში. ტონსკი ყოფილი დიაკვანია, სექტანტი მოლოკანი, გაქნილი და გაიძვერა მტერი, რომელიც მაყურებელში სავსებით სამართლიანად იმსახურებს დაცინვას. იგი გებრალებათ და გეზიზღებათ კიდეც. თავისი სასაცილო, სახარებიდან ამოკრეფილი აზრებითა და მსჯელობით სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემაზე იგი წარმოგვიდგენს ყოფილ ადამიანების მთელ უბადრუკობას. გოძიაშვილს იმდენად შესანიშნავად და ზუსტად დაუმუშავებია როლი, რომ მაყურებელი ხედავს გაიძვერა და ავ უბადრუკ ადამიანის სრულყოფილ სახეს. მსახიობის ყოველი სიტყვა, ყოველი მოძრაობა ამ სახის მხატვრულ გახსნას ემსახურება.

სადად და მოფიქრებულად თამაშობს მეისრის ქალიშვილის გლაშას დრამატულ როლს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ორდენოსანი თამარ ჭავჭავაძე. იგი განსაკუთრებით მეორე და მესამე მოქმედებაში აღწევს სრულ ბუნებრივობას, როცა მოხერხებულად ხსნის ქმრის მოსალოდნელი გაქცევით დაზარალებულის, მაგრამ ცხოვრების იმედით და პერსპექტივით აღსავსე ქალის შინაარსიან სახეს.

მოუსვენარი და ცელქი, სიცოცხლით სავსე 16 წლის კომკავშირელი გოგონაა ჟენია (რესპ. დამსახურებული მსახიობი ვერიკო ანჯაფარიძე). თავისი ბავშური გონებით იგი ყველგან და ყოველთვის მოსხენებას, ორგანიზებულობას, კონვეიერს და ოფიციალობას ხედავს. იგი გულუბრყვილოა და თან ცინიანი. ანჯაფარიძე ოდნავ ამარცხებს ამ სახეს, მაგრამ ძირითადად მაინც თავდაპირველით თამაშობს ბავშვის ამ ძნელ როლს და განსაკუთრებულ დამაჯერებლობას უკანასკნელ ორ მოქმედებაში აღწევს. იმ მსახიობისათვის, რომელმაც „ოტელოში" და „ურიელ აკოსტაში" შექმნა დეზდემონას და იუდითის ღრმად ამაღელვებელი დრამატული სახეები, 16 წლის გოგონას როლში გამოსვლა და გამარჯვება დიდი ზრდისა და შემოქმედებითი ოსტატობის ღრმად დაუფლების მაჩვენებელია.

დამაჯერებელი, შინაარსიანი სახეები შექმნეს რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა ელენე დონაურმა (ლიუბა სემიონოვნა), მიხეილ სარაულმა („შორეულის" უფროსი ალექსი კორიუშკო), ალექსანდრე გომელაურმა (ტელეგრაფისტი გენადი მირონიჩი), ბ. შავგულიძემ (ლავრენტი ბელშჩევი) და სესილია თაყაიშვილმა (მატვეი ილიჩის ცოლი). საერთოდ, მთელმა კოლექტივმა ამ სპექტაკლში გვიჩვენა ამოცანის გაგება და შემოქმედებითი ოსტატობის მაღალი დონე.

ტაიგა, მისი თვალუწვდენელი პერსპექტივით, ახოვანი მცენარეებით იგრძნობა მხატვარ დ. კაკაბაძის ნამუშევარში სადა რეალისტურ დეკორაციებს, ბუნების ნათელ სურათებს (განსაკუთრებით მეორე მოქმედებაში) მაყურებელი ადვილად გადაჰყავს შორეულ ტაიგაში და მსახიობთა მოხდენილი თამაშით, განსაკუთრებით მელოდიური მუსიკით (მუსიკა ან. ბალანჩივაძისა) აქაც კი განაცდევინებს მას ჩვენი დიდი სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულს.

ამიტომ ვესალმებით ჩვენ „შორეულის" დადგმას მარჯანიშვილის თეატრში, რომელმაც საბჭოთა პატრიოტიზმის ამ სპექტაკლით წარმატებით დაამთავრა სეზონი.

თეატრალი

ვალენტინა სტაროვა, რომელმაც ამხ. ლ. ბერიას სახელობის გიზ. რბენში — ქალთა შორის, დაიკავა პირველი ადგილი.

5.000 მორბენალი— ტფილისის ქუჩებზე

ამხ. ლ. ბერიას სახელობის გაზრბენი— ტფილისის ფიზკულტურისტების ძლიერ დემონსტრაციას წარმოადგენდა. ტფილისის ქუჩებს დილიდანვე დაეტყო გამოცოცხლება. საბჭოთა კავშირის გმირების სახელობის [illegible] მწყობრად მიემართებოდნენ სახ. უნივერსიტეტის, „დინამოს", ფიზკულტურის ტექნიკუმისა და სხვა ორგანიზაციების ფიზკულტურისტთა კოლონები.

დილის სრულ თერთმეტ საათზე—სტარტი მიეცა მორბენალ მამაკაცთა პირველ ჯგუფს. ლენინის ქუჩაზე მორბენლები გრძელ ლენტად გაიშალნენ. რამდენიმე წუთის შემდეგ დაწინაურებული მორბენლები უკვე რუსთაველის პროსპექტზე ეჯიბრებიან ერთმანეთს. ჯერ კიდევ წუთიც, და ფედერაციის მოედანზე გამოჩნდნენ ნოვიკოვი, ხერხეულიძე და შულცი, რომლებმაც პირველად მოასწრეს საფინიშო ზოლის გაწყვეტა. მორბენლების კოლონები 40 წუთის განმავლობაში იპყრობდნენ აუარებელი ხალხის ყურადღებას, რომელიც ოვაციებით ეგებებოდა გადარბენაში გამარჯვებულ თვითეულ მორბენალს.

ქალთა შორის შეჯიბრება ახალ სანაპირო ქუჩაზე მოხდა. გაზრბენში აუარებელმა ფიზკულტურისტმა ქალმა მიიღო მონაწილეობა. რომელთა შორის გამარჯვება მოიპოვა ვალენტინა სტაროვამ. მას კვალდაკვალ მოჰყვა დინამოელი რობინა. მოსწავლეთა შორის გამარჯვებული გამოვიდა კობახიძე.

ტფილისის ფიზკულტურის საბჭომ გამარჯვებული მორბენლები დააჯილდოვა ძვირფასი საჩუქრებით.

◇

„ტექსტილშვეიტორგის" მაღაზია

მხატვარმა კელრეისკიმ და ინჟინერმა ოგანეზოვმა დაამთავრეს „სოიუზტექსტილშვეიტორგის" I საკავშირო გაერთიანების სპეციალიზებული მაღაზიის მხატვრული გაფორმების პროექტი. ეს მაღაზია გაიხსნება კარლ მარქსის მოედანზე ახლადაგებულ სახლში.

ახალი მაღაზია ამ სახლში დაიკავებს სამ სართულს — ზემირკვლის, პირველ და ანტრესოლის სართულებს. სულ მაღაზიაში იქნება ექვსი დიდი დარბაზი ათასი კვადრატული მეტრი საერთო ფართობით.

მაღაზიაში იქნება მზატანსაცმლის განყოფილება, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა სასკოლო და სკოლამდელი ასაკის ბავშვების ტანსაცმლით მომარაგებას, იქნება აგრეთვე ქუდების, აბრეშუმის ქსოვილების, აბრეშუმის ნაწარმის, ბამბეულის, შალის ქსოვილების, ნოხების, ქურქისა და ტექნიკური ქსოვილების განყოფილებები. მთელი ანტრესოლის სართული დაეთმობა მოდების ატელიეს და სამკერვალო სახელოსნოს.

ახალი მაღაზია გაიხსნება მესამე კვარტალში.

◇

„სალდათის ბაზრის" ადგილას

მტვრიანი და ძველისძველი შენობები ანი, მინგრეულ-მოგრეული „სალდათის ბაზრის" ადგილას 6 თვის შემდეგ—1937 წლის იანვრისათვის აღიმართება მონუმენტალური, თეთრი, სუფთა და ტევადიანი დახურული ბაზრის ახალი შენობა. ტფილისში ეს იქნება მეორე დახურული ბაზარი, ხოლო კეთილმოწყობის მხრივ საუკეთესო მთელ ამიერ-კავკასიაში.

დახურული ბაზრის შენობაში, გარდა სავაჭრო დარბაზებისა და მაღაზიებისა, მოთავსებული იქნება — კინო, სამკითხველო, ხორცისა და პროდუქტების საკონტროლო პუნქტები, საექიმო პუნქტი და სხვა დაწესებულებანი.

შენობა დაიჭერს მთელ იმ ტერიტორიას რომელიც მდებარეობს რუსის, პრესისა და სულხანიშვილის ქუჩებს შორის. ეს შენობა დაახლოებით ერთიორად აღემატება პირველი დახურული ბაზრის შენობას.

ახალი დახურული ბაზრის მშენებლობა იწყება 15 ივნისიდან და დამთავრდება მომავალი წლის 1 იანვრისათვის. ის სავაჭროები, რომლებიც ამ ბაზარზე იყო, გადატანილია ტფილისის სხვა ბაზრებზე.

ახალი დახურული ბაზრის შენობის პროექტი დაამუშავეს არქიტექტორმა ჯანდიერმა და დერიაბინმა. მშენებლობას ხელმძღვანელობს ტფილისის საბჭოს ტრესტი „ტფილმშენი".

◇

ქრონიკა

— **დღეს, საღამოს 8 ს.** შესდგება რუსთაველის ინსტიტუტის დას. ევროპის ლიტერატურის სექციის სხდომა (უნივერსიტეტის შენობა, აუდ. 86). მოხსენებას წაიკითხავს ინსტიტუტის უფროსი მეცნ. თანამშრომელი დ. ერისლაძე თემაზე „ნიბელუნგები გერმანულად და ქართულად". შესვლა თავისუფალია.

სპორტი

ჩოგბურთის საკავშირო პირველობაზე.

11 ივნისს დაიწყო საკავშირო პირველობის [illegible] ა.-კ. [illegible] ტფილისში ჩამოვიდნენ მოსკოვის „სპარტაკის" [illegible] შეჯიბრების [illegible] ჩეტვერიკოვის წინააღმდეგ თავიდანვე აქტიური თამაში დაიწყო და პირველი პარტია ადვილად მოიგო 6:0 ანგარიშით. სამწუხაროდ მეორე თამაშში ჩეტვერიკოვმა გააუმჯობესა თამაშის ხარისხი, ხელი მიჰყო ბადესთან თამაშს და ბურთების ძლიერი ჩაკვრით შესძლო მეორე პარტიის თავის სასარგებლოდ გადაწყვეტა. მესამე გადამწყვეტ პარტიაში კვლავ გამომჟღავნდა გულიაშვილის უპირატესობა, რომელმაც შესძლო შეჯიბრების მოგება. კაზანოვამ (მოსკოვი) ადვილად დაამარცხა ზაქი 6:0, 6:1 ანგარიშით. კრუპენიკოვმა (ა-კ) დაამარცხა კალმიკოვი, ჩიმერიძემ (ა-კ.) ლინდორფი. გომურმა (ა-კ.) ზუსტი თამაშით შესძლო რატნერის დამარცხება. დიდი ინტერესი გამოიწვია მ. სერებრიანიკოვისა და ზიკმუნდის (მოსკოვი) შეჯიბრებამ. ჩვეულებრივზე სუსტად თამაშობდა სერებრიანიკოვი; მან ვერ გამოიყენა ყველა შესაძლებლობა და თამაშის თაოსნობა ხელთ იგდო მოსკოვის წარმომადგენელმა, რომელმაც შესძლო შეჯიბრებაში გამარჯვება 6:3, 5:7, 6:0 ანგარიშით.

თამაშის მეორე დღეს ტფილისელმა მეჩკულემ დაამარცხა კოხკოვი. პილიაევამ მოუგო გოგოლაურს, შველიდევმა ადვილად დაამარცხა კლდიაშვილი. ბ. სერებრიანიკოვმა დაამარცხა კალმიკოვი, ჟამკოცევი დამარცხდა ლისკინთან შეხვედრაში. შერეულ თამაშობაში ზიკმუნდმა და კაზანოვამ საინტერესო თამაშის შემდეგ დაამარცხეს კრუპენიკოვი და ჩიმერიძე.

განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია დანილოვისა (ა-კ.) და ბლოხის შეხვედრამ. ორივე ჩოგბურთელი თავის გუნდში უძლიერესი მოთამაშეა. შეჯიბრება დანილოვის უპირატესობით დაიწყო, მაგრამ მალე ბლოხი აძლიერებს თამაშის ტემპს და იგებს პირველ პარტიას 6:3 ანგარიშით. მეორე თამაშში დანილოვის უპირატესობა აშკარა ხდება. მისი ზუსტი თამაში ბევრ ენერგიას ახარჯვინებს მოსკოველ ჩოგბურთელს და მეორე პარტიაც დანილოვის სასარგებლოდ გადაწყდა. გადამწყვეტ თამაშში ორივე მოთამაშე ფრთხილადაა, თაოსნობაც ხელიდან ხელში გადადის. დანილოვმა მიაღწია 5:4 ანგარიშს,—მოწინააღმდეგე ორჯერ დგას დამარცხების საფრთხის წინაშე, მაგრამ მოხდენილმა თავდაცვამ მოსკოველს მალე შეაძლებინა ანგარიშის გასწორება და შემდგომ პარტიაც ბლოხის გამარჯვებით დასრულდა 7:5 ანგარიშით.

◇

შემთხვევები

# დაჭრა. ჩელუსკინელთა მოედანზე, რკინიგზის ფოსტის მახლობლად ბანქოს თამაშის დროს მ. მ. კოვალევსა, ე. ფ. ზაკორიატინსა და ი. ი. პავლიკოვს მოუვიდათ ჩხუბი, რომლის დროსაც ზაკორიატინმა და პავლიკოვმა დანით დასჭრეს კოვალევი. ბოროტმოქმედნი შეიპყრეს.

# მძარცველი. 11 ივნისს, საღამოს, კამოს ქუჩაზე მიმავალ ვ. ს. მანდერიანის ქალს (ვორცელის ქუჩა, 23) უცნობმა მძარცველმა ხელიდან გამოსტაცა რიდიკიული, რომელშიაც იყო ფული და დოკუმენტები, და მიიმალა. მძარცველი ი. ქავთარაძე (ჩრდილოეთის ქუჩა № 15) შეიპყრეს.

◇

პარტკალენდარი

დღეს ლ. კეცხოველის სახელობის პროპაგანდისტისა და აგიტატორის სახლში.

საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის კაბინეტი — კონსულტაცია პარტისტორიის შემსწავლელი მაღალი ტიპის წრეების მსმენელთათვის თემაზე: ბოლშევიკების პარტია იმპერიალისტური ომის წლებში — რუსულ ენაზე, საღამოს 7 საათზე.

ლენინიზმის კაბინეტი — კონსულტაცია ლენინიზმის შემსწავლელი წრეების მორიგ თემაზე — საღამოს 8 საათზე.

— **საქ. კ. პ. (ბ) ტფილისის კომიტეტი** წინადადებას აძლევს ამხ. ა. ხ. ბერძენიშვილს (მედინსტიტუტი), გ. გ. ლოლაძეს (ლენინის ქარხანა), ოლღა კუნაძეს (ტრამვაი), ქ. რ. გოგრიჭიანს (კომბანკი), გ. გ. გაბრიელოვს, ე. ო. აივაზოვს და შ. შ. ხირკელის (მაუდის ფაბრიკა), 15 ივნისს, დღის 2 ს. გამოცხადდნენ ტფილისის კომიტეტში (ოთახი № 34), ამხ. ჩარქვიანთან.

— **საქ. კ. პ. (ბ) ც. კ.-თან არსებული პარტკონტროლის კომისიის პარტკოლეგია საქართველოში** წინადადებას აძლევს ამხ. ივანე გველესიანს, დავით დოსტურიძეს და ილია ინასარიძეს, გამოცხადდნენ სამი დღის განმავლობაში ც. კ.-ის შენობაში — 1 სართული, ოთახი № 20.

— **საქ. კ. პ. (ბ) ც. კ.-თან არსებული პარტკონტროლის კომისიის პარტკოლეგია საქართველოში** წინადადებას აძლევს ამხ. ა. დ. ბიბილაშვილს, ა. გ. ბიბილაშვილს, მ. ე. რეზაკოვს, ა. ა. ჭელიძეს, ა. ე. ხურციძეს, პ. რ. წიქორიძეს, ბ. ა. კოვეას, გ. ი. მაისურაძეს, ი. გ. ლადიშვილს, გრ. კ. ჰაპაძეს, კ. თაბუაშვილს და ალექსანდრე შამაროვს სამი დღის განმავლობაში გამოცხადდნენ პარტკონტროლის კომისიის პარტკოლეგიაში (ც. კ.-ის შენობა, ოთახი № 21), ამხ. ჩიხლაძესთან.

ოქტომბერი ბ 8 10
დამკვრელი საზ.-ხაზ. 6-30, 8-30, 10-30
კომკავშირელი 6-30, 8-30, 10.30
რ. ლუქსემბურგის სახ. 6-30 8 9-30 11
საზაფხ. „ეთერი" დასაწყ. სად. 9 ს.
26 კომუნ. სახ. საზაფხ.
კომინტერნი საზაფხ.
ახალი ამბები დასაწყისი 6-30 წ.

დადგმის მე-2 კვირა
ახალი ხმოვანი სურათი „ცირკი" რეჟისორი გ. ალექსანდროვი
ბილეთები წინასწარ იყიდება—12 საათიდან 5 საათ.
კინო კომკავშირელში ხმ. ჟურ. „ცეცხლოვანი კოლხიდი"
ხმოვანი კომედია „ერთ ზაფხულს" ივ. ილინსკის მონაწილეობით.
ახალი ხმოვანი ფილმები
1) გაზაფხულის დღესასწაული, 2) საბჭოთა უჯახები, 3) საბჭოთა ხელოვნება.
26 კომ. სახ. საზაფხ. „ეთერი"
1. ხმოვ. კინო ნარკვევი მოსკოვის მეტროპოლიტენი, 2) ხმოვ. ჟურნალი № 22.

ტფილისის საფინანსო განყოფილება
აუწყებს ყველა საწარმოს, დაწესებულებას და ორგანიზაციას, რომ თუ 1936 წლის მათი ხარჯთაღრიცხვების დამტკიცების დროს ზემდგომი ორგანოების მიერ შეტანილია რაიმე ცვლილებები 1935 წელთან შედარებით ორგანიზაციის შტატებში, ხელფასის განაკვეთებსა და ფონდში, ან სამეურნეო ხარჯების ოდენობაში, ეს შტატები და ხარჯთაღრიცხვები ხელახლა უნდა გატარდეს რეგისტრაციაში ქალაქის ფინგანის რეგბიუროში (წერეთლის ქ. № 6, ოთახი № 135) ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების დღიდან ერთი დეკადის ვადაში.
იმ ორგანიზაციებს, რომლებიც თავის შტატებს ხელახალ რეგისტრაციაში არ გაატარებენ, ან რომლებსაც სრულებით არ გაუვლიათ ასეთი რეგისტრაცია, დაეხურებათ კრედიტი ახალი გაფრთხილების მიუღებლად.
606 ქალაქის ფინგანი.

ს.ს.ს.რ. კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის საკავშირო თამბაქონედლეულის „საქთამბაქონედლეული"
ლაგოდეხის თამბაქოს საფერმენტაციო ქარხანა
ქ. ლაგოდეხი.
რეგისტრაციაში გატარებულია ლაგოდეხის რაიფინგანში
რეესტრის ფურცელი № 6-ით 1936 წ. 25 მაისს.
საქმიანობის ხასიათი: თამბაქოს დამზადება, ფერმენტაცია, გადამუშავება და ქარხნებისთვის გადაგზავნა.
საანგარიშსწორებო ანგარიში № 55/5 სახბანკის ლაგოდეხის სააგენტოში, ქალ. ლაგოდეხში.
ლაგოდეხის ფერმქარხნის დირექტორი წერეთელი.
406 მთ. ბუღალტერი ანჩაბაძე.

საქ სარეწ. კოოპ საბჭოთა კავშირის სისტემაში შემავალი არტელი „ლესოტარის" წევრთა საერთო კრების დადგენილების საფუძველზე
მიმდინარეობს არტელ „ლესოტარის" ლიკვიდაცია
ყოველგვარი პრეტენზია მიიღება 25 ივნისამდე. ტფილისი, ბაზრის ქუჩა, № 16.
14891 ლიკვიდკომი.

ექიმი ი. ჭიჭაშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის დაავად.
მიღება დილის 8—9 ს. და სად. 6—8 საათ. [illegible] ქ № 72.

უახლოესი მეგობრები: წულუკიძე, პაატაშვილი, ხაზარაძე, ჩიკვაიძე, ლომიძე, კორძახია, მოისწრაფიშვილი, ოქანეზოვა, კუტალია, ფურცხია, ცხომელიძე, შინაბი, ავალიანი იუწყებიან კეტო ცაგურიას დედის ვერა ცაგურიას გარდაცვალებას. 14877

მეხუთე დამხმარე სკოლის მასწავლებლობა თანაგრძნობას უცხადებენ ამავე სკოლის დირექტორ ხადია კაჭარავას მისი დის ნატოია კაჭარავას გარდაცვალების გამო. 14879

დამწუხრებული დედა ლუბა, სიძე არკადი, შვილები: ჯემინკა და ლელი ბიწაძეები, და შურა, სიძე დათიკო მეგრელიძეები პატარა ნატოია კორძახიას უდროოდ დაკარგვას. დაკრძალვა დღეს, ახალშენში. 14888

ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე ბაბუცა, შვილი ხიტუ, მშობლები: კოლია, ოლია, ბიძა ივანე ცოლ-შვილით იუწყებიან საყვარელი შალიკო ნიკოლოზის-ძე შავშანიძის გარდაცვალებას. დაკრძალვა ქ. წყალტუბოში, 16 ივნისს. 14885

დამწუხრებული მშობლები: მატრონა, კოსტა, ძმა ბიჭიკო, და ტატიანა იუწყებიან ჟორა (გიორგი) სამსონიას უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა ქ. ლანჩხუთში 16 ივნისს. 14884

ღრმად დამწუხრებული ცოლი ბაბილინა, შვილები: პელაგია, მიხეილ, პავლე, კონსტანტინე, ივანე თავიანთ ოჯახებით იუწყებიან ჯიბრაილ (ჯიბო) იაშვილის გარდაცვალებას. პანაშვიდი 7 საათზე, ენგელსის, 60. 14895

გიორგი, თამარ კოლოტაძეები, შვილები: ელიზბარ, ქეთევან, ნინო, ირაკლი და დარიკო იუწყებიან ზინაიდა რომანის-ასულ ნატროშვილის უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა დღეს, კუკიის სასაფლაოზე. გამოსვენება პლეხანოვის გამზირი, 129. 14889

მახლობელი მეგობრები: ენია და ვანო კანდელაკები, მამიკო ორჯონიკიძე, გუგუნა კიკვიძე, კოსტია ერქომაიშვილი, გიორგი ჩიჩინაძე იუწყებიან კოლია იაშვილის მამის ჯიბრაილ დავითის-ძე იაშვილის გარდაცვალებას. 14894

მახლობელი მეგობრები: ციმაკურიძე, ხორავა, ამბოკაძე, ბახტაძე, მთაწმინდელი, ლორთქიფანიძე, მარველაშვილი, კალოიანი, ხავთასი, ხიდაშელი იუწყებიან კოლია იაშვილის მამის ჯიბრაილ დავითის-ძე იაშვილის გარდაცვალებას. 14893

სავაჭრო საქმეოსნობის ტექნიკუმის მესამე კურსის მსმენელები ღრმა მწუხარებით იუწყებიან ამავე კურსის მსმენელის ქეთო კიზირიას უდროოდ დაკარგვას. გამოსვენება ქალ. პირველ საავადმყოფოდან დღეს. დაკრძალვა სოფ. ნოსირში. 14886

ს. თოდრიას სახელობის სტამბა „კომუნისტი", კამოს ქ. № 68.
მთავლიტის რწმუნებული—ბ 8590